ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 30 ივნისი – 1 ივლისი, 2018

№153 (7698)

ფასი: 50 თეთრი

## საქართველოში ყოველი ახალშობილი 4 ათას ლარზე მეტი ვალით იბადება



29 ივნისიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი ტომი 4




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „მამუკა ბახტაძე მიხეილ სააკაშვილს ბაძავს“



## კახა კუკავა: „კვირიკაშვილი იმიტომ გაუშვეს, რომ ზედმეტად გაძლიერდა“

გვ.2



## რამაზ საყვარელიძე: „წულუკიანს მინისტრობიდან მოვხსნიდი და „ოცნების“ პოლიტიკურ მდივნად დავნიშნავდი“



გვ.3

## მანუჩარ მაჩაიძე: „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასები უნდა შემცირდეს“

გვ.4



„პარტიების მიმართ ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება კარგ შედეგს არ მოიტანს“

## ირაკლი დოკვაძე ისევ პოლიტპატიმრად აღიარებას ითხოვს

გვ.3

წერილი ეკა ბესელიას



**სამართალი**

თამთა ჯანჯღავას და ნათია თოფურიას პატიმრობა შეეფარდათ გვ.7



## „ირაკლი ნოზაძის დაჭრაში ბრალდებული თამთა ჯანჯღავა ფსიქოტროპულ პრეპარატებს მოიხმარდა“



## აუტანელმა სისხლმა ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგი შეცვალა

გვ.2

**ეკონომიკა** გვ.6




## „ეკონომიკური ზრდის ასეთი მაღალი მაჩვენებელი 10 წელია არ გვქონია“



## ბიტკოინის ფასი 6,000 დოლარს ჩამოსცდა – გაგრძელდება თუ არა ვარდნა?



## ეკონომიკის ზრდას მხოლოდ კონკრეტული ბიზნესჯგუფები გრძნობენ

ISSN 1987-9385

**3** 30 ივნისიდან 4 ივლისამდე აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 43 გრადუსს მიაღწევს

**5** სავალუტო ჯიხურები რიგი ვალდებულებების დარღვევისთვის 2 ათასი ლარით დაჯარიმდება

**6** აგროდაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა 47%-ით შემცირდა

**4** ზაზა სარალიძე: „ძალიან დიდ შეცდომას ჩადის გიორგი გახარია, რომ ზვიად კუპრავასთვის უაზრო ბრალდების წაყენებას აპირებს“

# „მამუკა ბახტაძე მიხეილ სააკაშვილს ბაძავს“

## კახა კუკავა: „კვირიკაშვილი იმიტომ გაუშვეს, რომ ზედმეტად გაძლიერდა“

ნონა ცაბაძე

**მიჩება შთაბეჭდილება, რომ ვასიკო მალაფერიძე, შალვა რამიშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი სხედან საღამოს, უყურებენ სააკაშვილის 2005-2007 წლების საინფორმაციო გამოშვებებს და ცდილობენ მის გადმოკოპირებას!**

**„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

– ბატონო კახა, მამუკა ბახტაძემ დიდი ზარზეიმით გვახარა, ეკონომიკური ზრდაა ქვეყანაშიო. არადა გიორგი კვირიკაშვილი ეკონომიკაში ჩავარდნისთვის გაუშვეს. რას ერჩოდნენ ყოფილ პრემიერს, თუ ყველაფერი ასე კარგად იყო ეკონომიკაში?

– არასერიოზულ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე, მთავრობა არასერიოზულ სპექტაკლს გვთავაზობს და ამას სერიოზულად არ უნდა მივუდგეთ. ძალიან კარგად ვიცით, რატომაც გაუშვეს გიორგი კვირიკაშვილი.

***– რატომ?***

– ეს არის კანონიერი ქურდის, ბიძინა ჭორვილსკის მართვის მეთოდი, რომელსაც იყენებდა აგრეთვე შევარდნაძე ლანჩხუთსკი, რომ არ უნდა დატოვო დიდხანს თანამდებობაზე ხალხი, განსაკუთრებით თუ ის ხალხი გავლენიანია და თავის ირგვლივ პოლიტიკურ ცენტრს აკეთებს. ყველას გვახსოვს, რომ შევარდნაძეს ავადმყოფურად ეშინოდა სწორედ ამისი, რომ მის გუნდში არ გაძლიერებულიყო ვინმე და ამიტომაც ხშირად ცვლიდა ხოლმე სახელმწიფო მინისტრებს.

***– ივანიშვილსაც იგივე მეთოდები აქვს?***

– დიახ. გიორგი კვირიკაშვილი გაუშვეს სწორედ იმის გამო, რომ მან გუნდი შექმნა, საზოგადოებაში მის მიმართ, მართვის პირველ ეტაპზე, იყო პოზიტივები. მერე ხაზარაძესთან დამეგობრდა, ტელემედიაში თავისი პოზიციები გაუჩნდა და სწორედ ამის გამო მოხსნეს. არავის იმ სისულელის არ გვჯერა, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში ჰქონდათ აზრთა სხვადასხვაობა. სხვათა შორის, ეს სისულელე გიორგი კვირიკაშვილმაც დაიბრალა.

***– რა დაიბრალა?***

– რომ თურმე იდეური თანხვედრა არ ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან.

***– მთავრობა ატარებს სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას და ეკონომიკური ზრდაც ამის დასტურიაო.***

– შევარდნაძის დროს, 6-ლარიან პენსიებსაც რომ ვერ არიგებდნენ, შევარდნაძის ეკონომიკური მრჩევლები გამოდიოდნენ მაშინაც ტელევიზიით და ამბობდნენ, რეიტინგებში საქართველო პირველ და მეორე ადგილებს იღებსო.

არსებობს რამდენიმე პარამეტრი, რომელიც არის ობიექტური. ერთ-ერთი არის ეროვნული ვალუტის კურსი. თუ ქვეყანაში ეკონომიკა იზრდება, მაშინ ეროვნული ვალუტა რატომ უფასურდება?! როდესაც მთავრობა მოვიდა, კურსი იყო 1,6 და დღეს არის 2,45.

ასეთივე ზუსტი პარამეტრია ის, რომ ცოტა ხნის წინ, გერმანიის შს მინისტრი გამოვიდა და დაასახელა სამი-ოთხი ქვეყანა, საიდანაც ყველაზე მეტი ლტოლვილი ცდილობს გერმანიაში მოხვედრას. ამ ჩამონათვალში იყვნენ სირია, ერაყი, ლიბია და საქართველო! ეს არის ისეთი ზუსტი პარამეტრი, რომელსაც რამდენი პრესკონფერენციაც უნდა ჩაატაროს ბახტაძემ, ვერ გადაწონის.

***– ბახტაძემ ყველა რეკორდი მოხსნა, ისეთ პოპულისტურ განცხადებებს აკეთებს. წინა პრემიერის დროს გაკეთებულ საქმეებსაც თვითონ იბრალებს. ტრიბუნებით აქეთ-იქით სიარულიც არ დარჩენია საზოგადოებას უყურადღებოდ. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– კომიკურია ეს ყველაფერი. როდესაც ტრიბუნა ჩადგა ტრასაზე, მაშინვე ვთქვი, რომ ბახტაძე სააკაშვილს ბაძავს და ალბათ ხვალ დადიანების სასახლეში დაალაგებს სკამებს-მეთქი და მართლაც ასე მოიქცა და სააკაშვილის სტილში ჩაატარა შეხვედრა პარტიის აქტივთან.

როცა ასეთი ბანძი პიარი გაქვს, რომ უკვე ადამიანები წინასწარ ხვდებიან, რა მაიმუნობასაც აკეთებ, ეს უკვე პიარი აღარ არის, ეს არის საკუთარი თავის საწინააღმდეგო შავი პიარი. სააკაშვილი რასაც აკეთებდა, მასაც დასცინოდნენ, მაგრამ ამას აკეთებდა პირველად და პირველს ყოველთვის სხვა ეფექტი აქვს ხოლმე. თანაც რასაც სააკაშვილი აპიარებდა, იმ დარგებს გარკვეული მიღწევები ჰქონდა. დღევანდელ მთავრობას არ აქვს ეს ხელშესახები მიღწევები. ამ მთავრობას აქვს ერთადერთი მიღწევა.

***– რა მიღწევა?***

– ციხეში პატიმრებს არ აწამებენ. ეს არის ერთადერთი მნიშვნელოვანი პოზიტივი, რომელიც „ქართული ოცნების“ პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს. არაფერი სხვა მიღწევა ამ მთავრობას არ აქვს. როდესაც სააკაშვილი ტრასებს ხსნიდა, შესაძლოა, ეს ფორმა ვიღაცისთვის გამაღიზიანებელი იყო, მაგრამ ის ტრასები მართლა იგებოდა. დღეს, როდესაც გახსნილ ტრასაზე მიხვალ, ტრიბუნას დადებ და ამბობ, რომ საქართველოში ახალი ტრასა გაიხსნა, ეს უბრალოდ სასაცილოა!

***– რას ელოდებით ახალი, მცირე მთავრობისგან. ახალ სახეებზე გვესაუბრება პრემიერი. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– ახალი სახეები არის ტელეჟურნალისტების მიერ მოგონილი ტერმინი. ახალი ველოსიპედები კი არ უნდა გამოვიგონოთ, რაც უკვე გამოგონებულია, ის დანერგონ და ჩვენს ქვეყანაში გადმოიტანონ. ამერიკაში მუშაობს, ან ლონდონში სწავლობს და მოდი, ის ჩამოვიყვანოთ, ეს არის საშინელი ქაჯობა და პროვინციალიზმი! თურმე რადგან ამერიკაში მუშაობს, ის იქნება მაგარი ეკონომიკის მინისტრი.

***– ამ მიდგომას არ იზიარებთ/***

– მინისტრი ყველა ქვეყანაში უნდა დაინიშნოს მისი ეკონომიკური ხედვებით! ახალი და უცხო სახე არის მიუღებელი. ეკონომიკის მინისტრად უნდა დაინიშნოს ისეთი კადრი, ვისაც აქვს კარგი ეკონომიკური ხედვები და ეს საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იციან. მინისტრი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი. ეკონომიკის მინისტრად ვინც ინიშნება, მას უნდა ვიცნობდეთ და უნდა ვიცოდეთ, რის გაკეთებას აპირებს და არა ის, რომ კემბრიჯი ჰქონია დამთავრებული და ამიტომ დავნიშნოთ ეკონომიკის მინისტრად.

ეს არასრულფასოვნების კომპლექსის გამოხატულებაა. ეს სააკაშვილმა დაამკვიდრა 2004-2005 წლებში, შესაძლოა, ეს მაშინ ვიღაცას მოსწონდა, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ადამიანებმა ყველა სფეროში კრახი განიცადეს. გახსენდებათ რომელიმე ამერიკულ დიპლომიანი წარმატებული მინისტრი? მე არ მახსენდება!



### „ამ მთავრობის სულელური ნაბიჯები დააჩქარებს მის დემონტაჟს“

***– იგივე გზას დაადგა ახალი პრემიერიც?***

– დიახ და ეს არის უზნეობის გამოხატულება. ასევე ამ მთავრობის პიარგუნდის უმწეობის გამოხატულება. ვერაფერი ახალი პიარული და საზოგადოებისთვის საინტერესო იდეა რომ ვერ მოიგონეს, სააკაშვილის არსენალში დაიწყეს უკვე ნახმარი მეთოდების გადმოკოპირება.

ქალს რომ ლამაზად გამოპრანჭვა უნდა და მაინცდამაინც სხვის ნახმარ ბიჟუტერიას რომ ეცემა, ზუსტად ასე არიან. სააკაშვილის ნახმარი ბიჟუტერიით ცდილობენ სამთავრობო პიარის გაფორმებას!

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვასიკო მალაფერიძე, შალვა რამიშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი სხედან საღამოს, უყურებენ სააკაშვილის 2005--2007 წლების საინფორმაციო გამოშვებებს და ცდილობენ მათ გადმოკოპირებას!

***– გამოდის, რომ არანაირი დადებითი მოლოდინი არ გაქვთ?***

– დადებითი მოლოდინი, ერთადერთი, რაც მაქვს, არის ის, რომ იმდენად ბევრ არასწორ ნაბიჯს დგამენ, რომ ამან შეიძლება დააჩქაროს მათი აღსასრული.

ჩვენთან ერთ-ერთი სიმბოლური ათვლის წერტილი არის წულუკიანის დარჩენა-არდარჩენა. თუ წულუკიანი დარჩა პოსტზე, ეს არის უკეთესი! რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის უარესია, მაგრამ ჯობია, ბარემ მთელმა ქართველმა ხალხმა დაინახოს, რომ ამ მთავრობას ხალხის საერთოდ არ ესმის და ფეხებზე ჰკიდია საზოგადოებრივი აზრი და თუ ეს მთავრობა წულუკიანის გაშვებას არ აპირებს, მაშინ ჯობია, მთლიანად ეს მთავრობა მოვიშოროთ, ვიდრე ვიღაცა ისევ ილუზიების ტყვეობაში დარჩეს.

აი, ამას ვხედავ ერთადერთ სასიკეთოს, რომ ამ მთავრობის სულელური ნაბიჯები დააჩქარებს ამ მთავრობის დემონტაჟს.

# აუტანელმა სიცხემ ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგი შეცვალა

უახლოეს დღეებში (2 და 3 ივლისს) მოსალოდნელი განსაკუთრებით ცხელი დღეების გამო შეიცვალა ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდისა და ზოგადი უნარების გამოცდის) განრიგი.

როგორც შეფასებისა და გამოცდების ცენტრში აცხადებენ, ქართული ენისა და ლიტერატურის 2 და 3 ივლისისათვის დაგეგმილი მეორე სესია ჩატარდება შესაბამისად 4 და 5 ივლისს, დილით.

„აბიტურიენტები, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე უნდა გამოცხადებულიყვნენ 2 ივლისს, 14:00 საათზე, ამ გამოცდას ჩააბარებენ იმავე საგამოცდო ცენტრში, 4 ივლისს, 08:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა – 09:00 საათზე).

ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე 3 ივლისს, 14:00 საათზე განაწილებული აბიტურიენტები გამოცდას ჩააბარებენ 5 ივლისს, 08:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა – 09:00 საათზე).

5 ივლისის ზოგადი უნარების გამოცდის პირველი და მეორე სესია ჩატარდება 7 ივლისს, ანალოგიური თანმიმდევრობით. ანუ, თუ აბიტურიენტი განაწილებული იყო 5 ივლისს 08:00 საათზე, იგი ზოგადი უნარების გამოცდას 7 ივლისს, 08:00 საათზე ჩააბარებს (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა – 09:00 საათზე), ხოლო თუ აბიტურიენტი განაწილებული იყო 5 ივლისს 14:00 საათზე, იგი გამოცდას ჩააბარებს 7 ივლისს 14:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 14:00 საათზე, გამოცდა 15:00 საათზე).

იმის გათვალისწინებით, რომ აბიტურიენტების უმეტესობას უკვე ამობეჭდილი აქვს საგამოცდო ბარათი, აბიტურიენტის გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ბარათში ცვლილებები აღარ შევა. აბიტურიენტი გამოცდაზე პირადობის მოწმობითა და



საგამოცდო ბარათით უნდა გამოცხადდეს.

ცვლილებები აბიტურიენტთა ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა“ – ნათქვამია შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

28 ივნისს ცნობილი გახდა, რომ კონდიცირების სისტემის დამონტაჟება ყველა საგამოცდო ცენტრში ვერ მოხერხდა და განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურის გამო მხოლოდ რუსთავში მოეწყო, რასაც საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

კონდიციონერების საკითხს 29 ივნისს გამართულ ბრიფინგზე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე. მისი თქმით, ეროვნულ გამოცდებზე კონდიცირების საკითხის დაგეგმვა უკეთ შეიძლებოდა. საგამოცდო ცენტრებში მისასვლელად დაინიშნება დამატებითი საზოგადოებრივი ტრანსპორტი სტანდარტული სამგზავრო საფასურით.

ასევე ცნობილია, როგორი კალმების შეტანის უფლება ექნებათ აპლიკანტებს ეროვნულ გამოცდებზე.

# 30 ივნისიდან 4 ივლისამდე აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 43 გრადუსს მიაღწევს



გარემოს დაცვისა და სოფლგარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 30 ივნისიდან 4 ივლისამდე საქართველოში მაღალი ტემპერატურა ნარჩუნდება.

სააგენტოს ცნობით, 30 ივნისიდან 4 ივლისამდე აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჰაერის მაქსიმალურმა ტემპერატურამ შესაძლებელია +40, +43 გრადუსს მიაღწიოს; ხოლო დასავლეთ საქართველოში, ჰაერის ტემპერატურა +32, +37 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი.

სინოპტიკოსების პროგნოზით, თბილისში ჰაერის ტემპერატურა +38, +40 გრადუსი იქნება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „წულუკიანს მინისტრობიდან მოვხსნიდი და „ოცნების“ პოლიტიკურ მდივნად დავნიშნავდი“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო რამაზ, პრემიერმა ბახტაძემ განაცხადა, რომ მას ახალი ინიციატივა ექნება ავტოპარკთან დაკავშირებით. ყველას ახსოვს შავი ჯიპების თემა. ახალი კამპანია იწყება თუ ცვლილებებს მართლაც უნდა ველოდოთ?***

— აქ იმდენად შავი ჯიპები კი არ არის საინტერესო, რამდენადაც ეს შავი ჯიპები გამოხატავენ დამოკიდებულებას და განწყობას საზოგადოებასა და მის მიერ დაქირავებულ ჩინოვნიკებს შორის. ევროპის ქვეყნებში ვერ აიძულებ ადამიანს, რომ კერძო სექტორში დათმოს სამსახური და სახელმწიფო სტრუქტურაში გადაინაცვლოს, რადგან ბევრად მეტია ხელფასი კერძო სტრუქტურაში. ეს განსხვავებაა. მენტალიტეტის ცვლილება კი ასეთი მარტივი არ არის.

ჩინეთში საერთო ავტოპარკი არსებობს და როდესაც ჩინელ მინისტრს სჭირდება მანქანა სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად, ის იძახებს მანქანას. პერსონალური მანქანები იქ არ არის.

***— ბრიფინგზე ბახტაძემ სწორედ პერსონალურ მანქანებზე ისაუბრა.***

— დიახ. თუ ეკონომიისკენ რეალურად მივდივართ, მაშინ რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას და ეს ჩვენ, ამ ქვეყნის მოსახლეობამ, უნდა დავინახოთ. ამ კონტექსტში უნდა იყოს განხილული პრემიების და დანამატების თემაც. სამინისტროები თუნდაც იგივე რაოდენობით რომ დარჩენილიყო, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების რესურსი იყო.

***— როგორ, მაგალითად?***

— პრემიების, ე.წ. დანამატების, ავტოპარკის და კიდევ სხვა ხარჯების შემცირების თუ გაუქმების ხარჯზე. მე არ ვფიქრობ, რომ საერთო ავტოპარკი ცუდი იდეაა, ჩვენზე ბევრად მდიდარ და გამოცდილ ქვეყნებს აქვთ საერთო პარკი და რატომ არ შეიძლება, ამ მეთოდს მივმართოთ, არ მესმის.

ევროპელ მინისტრს სადარბაზოსთან ველოსიპედი ელოდება და იმით მიდის სამსახურში, ის არ ფიქრობს, რომ რაღაცით გამორჩეულია თავისი თანამოქალაქისგან.

***— ჩვენთან მინისტრი თუ ხარ, ეს ნიშნავს, რომ გამორჩეული ხარ. როგორ შეიძლება, ეს მენტალიტეტი ადამიანებმა დაამარცხონ?***

— ეს არ გახლავთ მარტივი პრობლემა. ის ფიქრობს თუ ისეთი იქნება, როგორც ყველა, მაშინ რად უნდა მინისტრობა?! თუ არ მოემსახურება მანქანა, თუ არ ექნება პრივილეგიები, მაშინ არ ულირს. ხალხის სამსახურისთვის თანამდებობაზე წასვლა ლეგენდაა და სხვა არაფერი. თუ მართლაც ქვეყნის სამსახურია მოტივაცია, მაშინ უარი თქვან პრემიებზე, დანამატებზე, მანქანების მომსახურებაზე, ჩვეულებრივ იარონ სამსახურებში, როგორც ყველა დადის.



***— კაბინეტის ახალ შემადგენლობაზეც გკითხავთ. რას იტყვით წულუკიანთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდნენ უკვე თუ ვერა?***

— ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ სერიოზული ყოყმანია წულუკიანთან დაკავშირებით. მართლაც რთულ სიტუაციაში არიან ივანიშვილი და ბახტაძე. დღეს ხელისუფლება ორ ცეცხლშუაა მოქცეული.

***— რატომ?***

— თუ ხელისუფლება ახლა წულუკიანს გაუშვებს, ეს გაჟღერდება, როგორც დათმობა, დათმობა ოპოზიციის გავლენით, რასაც ოპოზიცია ხელზე დაიხვევს. დამთმობის შთაბეჭდილების შექმნა არც ერთ ხელისუფლებას არ უნდა.

რომ არ გაუშვას და დატოვოს ახალ კაბინეტში, ეს იქნება მართლაც საზოგადოების გამოწვევა. ეს იქნება მესიჯი, რომ ხელისუფლება ხალხის მოთხოვნების იგნორირებას ახდენს, რაც მას უდავოდ ცუდ შედეგებს მოუტანს.

ადრე რომ ეფიქრათ წულუკიანის შეცვლაზე, როდესაც ამის საფუძველი გაჩნდა, რომ ის იწვევდა უკმაყოფილებას სხვადასხვა მიზეზით, მაშინ ამ დილემის წინაშე არ აღმოჩნდებოდნენ. ეს იქნებოდა ხელისუფლების გონივრული ნაბიჯი და ასეთი მძაფრი რეაქციები არ მოჰყვებოდა. ახლა დილემა ძალიან მკაფიოა.

ხელისუფლებას შექმნილ ვითარებაში მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი აქვს, რომ არც მწვადი დაწვას დიდად და არც — შამფური: წულუკიანი სხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე უნდა დანიშნოს.

***— მაგალითად, ელჩად, რაზეც იყო საუბარი, რომ საფრანგეთში ელჩობა შესთავაზეს, რასაც არ დათანხმდა.***

— არა, ელჩობა აშკარად საპენსიო თანამდებობად ჩამოყალიბდა ჩვენთან. როდესაც უნდათ, რომ ადამიანმა ხელი არ შეუშალოთ, ელჩად უშვებენ. ელჩობა წყნარ ცხოვრებას ნიშნავს, ამ ქალს არ უნდა წყნარი ცხოვრება, ენერგიით სავსეა და ბრძოლის უნარი აქვს.

წულუკიანი კარგი პოლემისტია, პოლიტიკოსიც შეიძლება კარგი იყოს, ცხარე სიტყვა აქვს და კარგი იქნება, თუ პარტიის პოლიტიკურ მდივნად დანიშნავენ. იყოს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი სხვა დატვირთვის, სხვა თანამდებობის გარეშე და იზრუნოს პარტიის გაძლიერებაზე.

ახალი მოდელით, პარტია გადამწყვეტი ხდება, „ქართული ოცნება“ უმრავლესობაშია და პარტიულ იერარქიაში მისი დაწინაურება მოხსნა კი არ იქნება, შეიძლება პირიქითაც, მინისტრობაზე უფრო დიდი თანამდებობაც გამოდგეს. ამიტომ, ამ შექმნილ ვითარებაში ეს შეიძლება ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი იყოს.

# ირაკლი დოკვაძე ისევ პოლიტპატიმრად აღიარებას ითხოვს

## წერილი ეკა ბესელიას

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15-ე დაწესებულების პატიმრობაში მყოფი ირაკლი დოკვაძე განცხადებით მიმართავს.**

— ვინაიდან „ქართულმა ოცნებამ“ მოსამართლეები და პროკურორები ხელისუფლების ზეწოლისაგან კი არა, არამედ სახელმწიფოსა და ერის მიმართ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულობების პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა, ჩემი ადვოკატების არაერთგზის მცდელობისა და ჩემი ორჯერ თითო თვიანი შიმშილობის გამოცხადების მიუხედავად, საქმის გადასინჯვას ვერ მივაღწიე. ვინაიდან ჩემს უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას აფერხებს მხოლოდ 1995 წლის 6 მარტის სამარცხვინო და პოლიტიკური ნიშნით გამოტანილი განაჩენი, მოგმართავთ თქვენ, პარლამენტის წინაშე დააყენოთ ჩემი პოლიტიკურ პატიმრად ცნობისა და პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების საკითხი, — მოითხოვს ირაკლი დოკვაძე.



ეკა ბესელიასადმი მიმართვაში ნათქვამია:

„მოგმართავთ თქვენ, რადგან ჩემს მიმართ განხორციელებულმა იურიდიულმა ცინიზმმა უკვე დანაშაულის ფორმა მიიღო. 1992 წლიდან დღემდე საქართველოს არც ერთ სასამართლოში არ მოიპოვება არც ერთი გამამტყუნებელი განაჩენი არც ერთი პირის მიმართ, იარაღის ძალით კანონიერი ხელისუფლების დამხობის ბრალდებით. მე კი დღეს სასჯელს ვიხდი 1992 წელს, სამხედრო საბჭოს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ბრალდებებისთვის, რომელიც იწყება სიტყვებით:

„1992 წლის 6 იანვარს, გამსახურდიამ დაკარგა რა ხელისუფლება, გაიქცა ჩეჩნეთში, სადაც ჩამოაყალიბა ბანდიტური, ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები“ (იხილეთ 1995 წლის 6 მარტის უზენაესი სასამართლოს განაჩენი), რაც იმას ნიშნავდა, რომ პროკურორ ანზორ ბალუაშვილის მტკიცებით, ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი კი არა, არამედ დანაშაულებრივი ჯგუფების ორგანიზატორი და მეთაური იყო.

საქმეზე „ზ. გამსახურდიასა და სხვათა მიმართ“ უზენაესმა სასამართლომ 1995 წლის 6 მარტს მე და პეტრე გელბახიანს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა შეგვიფარდა, რითაც აღასრულა შევარდნაძის მოთხოვნა.

თქვენ გახსოვთ, რა გამოხმაურება მოჰყვა ამ განაჩენს მაშინ, მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ავტორიტეტული ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ჩვენი საქმის დეტალური შესწავლის შემდეგ, მოხდა ჩემი, პეტრე და გედევან გელბახიანების, ვიქტორ დომუხოვსკისა და ზაზა წიკლაურის პოლიტიკურ პატიმრებად აღიარება, რასაც დაეთანხმა ამერიკული „ჰელსინკი ვოტჩი“, ბრიტანული „ამნისტი ინტერნეიშელი“, გერმანული „აი ჯი ეფ ემი“ და ახალი ზელანდიის ადვოკატთა ასოციაცია.

შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ, ჩვენი გათავისუფლების მოთხოვნით, უმკაცრესი განცხადებები გაკეთდა საერთაშორისო არენაზე. დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურმა ზეწოლამ შედეგი გამოიღო და 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ გავთავისუფლდით“.

ეკა ბესელია 2004 წელს იყო ირაკლი დოკვაძის ადვოკატი, როცა უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, მოსამართლე მერაბ ტურავას თავმჯდომარეობით, გაამართლა ირაკლი დოკვაძე და სახელმწიფოს კომპენსაციის გადახდაც დაავალა.

ირაკლი დოკვაძე წერს:

„თქვენ იყავით ჩემი ადვოკატი 2002 წლის 4 სექტემბერს და მიცავდით პოლიტპატიმარს და არა ტერორისტს, დივერსანტსა და ბანდიტს, რაც არაერთხელ აღნიშნეთ თქვენს დაცვით სიტყვაში. 2004 წლის 9 თებერვალს, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, მოსამართლე მერაბ ტურავას თავმჯდომარეობით, თქვენს მიერ შედგენილი სარჩელი დააკმაყოფილა ჩემი რეაბილიტაციისა და კომპენსაციის შესახებ, რითაც, როგორც მაშინ ჩაითვალა, წერტილი დაესვა 1995 წლის 6 მარტის დანაშაულებრივ და სამარცხვინო განაჩენს.

თქვენ იცით, რას ნიშნავს ცილისწამება. მე თქვენგან განსხვავებით არ მქონია იმის ფუფუნება, მრავალმნიშვნელოვნად გამეღიმა და წამოყენებული ბრალდებისთვის ბინძური ცილისწამება მეწოდებინა. ჩემ მიმართ ცილისწამებას, მოსამართლე ეკა არეშიძის განაჩენით 30-წლიანი პატიმრობა მოჰყვა“

ირაკლი დოკვაძემ ორჯერ შიმშილობა გამოაცხადა, რომ იმ საქმის გადასინჯვისთვის მიეღწია, რომლისთვისაც უკვე მეორეჯერ 30-წლიანი სასჯელის ზომით პატიმრობაში აღმოჩნდა.

„ვინაიდან „ქართულმა ოცნებამ“ მოსამართლეები და პროკურორები ხელისუფლების ზეწოლისაგან კი არა, არამედ სახელმწიფოსა და ერის მიმართ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულობების პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა, ჩემი ადვოკატების არაერთგზის მცდელობისა და ჩემი ორჯერ თითო თვიანი შიმშილობის გამოცხადების მიუხედავად, საქმის გადასინჯვას ვერ მივაღწიე.

უფრო მეტიც, შევარდნაძისა და სააკაშვილის დროინდელი პოლიტიკური სურვილების მოსამართლე-ნოტარიუსები სამუდამოდ მოსამართლის მანტიით შემოსეთ, რითაც საბოლოოდ მოკალით სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა!

თქვენს მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული, პარლამენტის №202 „ამნისტიის კანონის“ მე-7 მუხლი არ შემეხო, რასაც მოტივად დაედო ჩემი წარსულში ნასამართლეობა(!) და ამა წლის 25 აპრილს პატიმრობიდან კი არ გავთავისუფლდი, არამედ 9-წლიანი პატიმრობის შემდეგ, მოსახდელი დამრჩა 18(!) წელი, რაც ჩემი ასაკიდან გამომდინარე, სამუდამო პატიმრობას ნიშნავს“ — წერს ირაკლი დოკვაძე.

ის თავის პატიმრობაში პოლიტიკურ მოტივებს ხედავს და პოლიტიკურ მიზეზებზეც საუბრობს:

„მე გულწრფელად გამიკვირდა, რატომ იღებდა „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ძალა, შევარდნაძისა და სააკაშვილისდროინდელ დანაშაულობებზე პასუხისმგებლობას, მაგრამ როდესაც გადავხედე დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობას, ძველი სახეები დღესაც მრავლად არიან წარმოდგენილნი როგორც უმრავლესობაში, ასევე უმცირესობაში და თქვენ ერთმანეთს კოლეგებს უწოდებთ. ამიტომ ამ განცხადების შინაარსი ბევრ თქვენს თანაპარტიელს თუ ოპონენტს გაალიზიანებს, რადგან 1992 წლის სამხედრო-კრიმინალურ, ერის მიმართ ჩადენილ დანაშაულობებში, სხვებთან ერთად, საკუთარ თავსაც ამოიცნობს!

პირადად ჩემთვის არც დღევანდელი ხელისუფლებაა ლეგიტიმური, რადგან არც უზენაეს საბჭოს არ გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია და არც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია არ გადამდგარა. ხელისუფლებისთვის კი სწორად და სამართლიანად ჩატარებული არჩევნების გარდა, სამართალმემკვიდრეობა უაღრესად მნიშვნელოვანია.

1992 წლიდან დღემდე, ყველა ხელისუფლება, სამხედრო გადატრიალების საშუალებით მოსული ხელისუფლების სამართალმემკვიდრეა. გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს კოლაბორაციონისტურად მოქმედი ცალკეული დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა კი, მხოლოდ მათ მერკანტილურ ინტერესებზე მეტყველებს და არა ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე!

მე ვიბრძოდი კონსტიტუციური, პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმის აღსადგენად და ვებრძოდი უკანონო, შეიარაღებული გადატრიალების გზით, ხელისუფლების სათავეში მოსულ დამნაშავე ხელისუფლებას! საყოველთაოდ აღიარებული სტატუსით, მე ვითვლებოდი პოლიტიკურ პატიმრად და, ამდენად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ვიყავი უდანაშაულო.

ვინაიდან ჩემს უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას აფერხებს მხოლოდ 1995 წლის 6 მარტის სამარცხვინო და პოლიტიკური ნიშნით გამოტანილი განაჩენი, მოგმართავთ თქვენ, პარლამენტის წინაშე დააყენოთ ჩემი პოლიტიკურ პატიმრად ცნობისა და პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების საკითხი“.



# ოკუპანტებმა 94 წლის მოხუცი დააკავეს

რუსმა ოკუპანტებმა სოფელ საკორინთლოს მცხოვრები 94 წლის გორა ღარიბაშვილი დააკავეს.

ოკუპანტებმა გორა ღარიბაშვილი უკვე მეორედ დააკავეს. ოჯახს ე.წ. საზღვრის კვეთის დადგენილი ჯარიმის გადახდის მოთხოვნით არავინ დაკავშირებია.

# მანუჩარ მაჩაიძე: „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასები უნდა შემცირდეს“

## „პარტიების მიმართ ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება კარგ შედეგს არ მოიტანს“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატს, თბილისის საკრებულოს ყოფილ წევრ მანუჩარ მაჩაიძეს ესაუბრა.**

***— მამუკა ბახტაძემ მთავრობის რეორგანიზაციაზე კიდევ გააკეთა განმარტებები. მისი თქმით, ბიუროკრატიული ხარჯები შემცირდება. ეს რეალურია?***

— რატომაც არ არის რეალური! მთავარი ნებაა, თორემ, ხარჯების დაზოგვა შეუძლებელი მაშინაც არ არის, თუ შტატები არ მცირდება. შესამცირებელია ავტომობილების ხარჯი, ასევე საგნებისა და ნივთების მოცულობა და ღირებულება. ბოლოს და ბოლოს, ხელფასები შეიძლება შეიკვეცოს. საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასები მაღალია. სხვაგან ბევრად დაბალი ხელფასებია.

***— რეფორმირებულ თურქეთში, რომელსაც ავტორიტარული სახელმწიფოს იმიჯი აქვს, სულ 16 სამინისტროა. ჩვენ 11 მინისტრი გვეყოლება. ჩვენისთანა ქვეყნისთვის ეს ბევრია.***

— მთავარია, რომ ხელისუფლებამ ამას მიხედა. მიმაჩნია, რომ ძირფესვიანი რეფორმებია გასატარებელი ყველა სფეროში.

***— რეფორმები შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ტარდება.***

— რეფორმებზე პრეტენზია სააკაშვილს და მის ხელისუფლებას აქვს. მაშინ რაღაცის შეცვლა მართლაც დაიწყო, მაგრამ ვაი ამ შეცვლას! ეს უმეტესად ფასადური და „სიაფანდი“ გარდაქმნები იყო. თუ რაიმეს რეფორმირება მოახდინეს, იმან არ გაამართლა.

***— „ქართულ ოცნებას“ ამაზე 2012 წლიდან უნდა ეზრუნა.***

— ეს ახლა მაინც უნდა გაკეთდეს. ძირეული რეფორმები საჩქაროა. სააკაშვილის დროინდელ რეფორმებს გადახედვა უნდა.

***— ხალხს უამრავი პრობლემა აქვს და სამინისტროების გაერთიანებით ან თუნდაც ადმინისტრაციული ხარჯების შეკვეცით მოუბრუნდება გული ხელისუფლებაზე?***

— მარტო ამით ხალხის მომადლიერება არ გამოვა. საზოგადოება რომ ხელისუფლებისკენ შებრუნდეს, სხვა ნაბიჯებიც საჭიროა. კერძოდ, ამ დანაზოგის ხალხისკენ მიმართვა, რასაც მთავრობა აპირებს. სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პენსიების მატება მოსახლეობას ჰაერივით სჭირდება. მახინჯი სისტემა მთლიანად უნდა შეიცვალოს. ნაციონალებმა მანკიერი სისტემა შექმნეს.

***— ოპოზიციურ სპექტრს დღეს ნაციონალები და მათი განაყოფები აყალიბებენ.***

— ასეთი სიტუაცია ხელოვნურად შექმნეს. ვიღაცას უნდოდა, რომ საქართველოს პოლიტიკაში მხოლოდ დაშლილი ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ ყოფილიყო. ჯერჯერობით ასეთი სურათი შენარჩუნებულია. ბუნებრივია, რომ ეს კარგი არ არის და არ შეეფერება დემოკრატიულ სახელმწიფოს. ასეთი მდგომარეობა იწვევს სტაგნაციას და გაუარესებას სხვადასხვა სფეროში. სხვა პოლიტიკური პარტიები არ უნდა იყვნენ შევიწროებული. ყველა აქტიურ ძალას დაახლოებით ერთნაირი პირობები უნდა ჰქონდეს. ასეთი უთანასწორობა ქვეყნისთვის არის ცუდი. პარტიების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება კარგ შედეგს არ მოიტანს.

***— 18 პარტია ინტერპარტიული ჯგუფიდან ერთად მოითხოვს საარჩევნო გარემოს შეცვლას.***

— ეს იდეა კარგია. საუბედუროდ, ეს მოთხოვნა ისევ დღის წესრიგში დგას. მრავალი წელია, ამაზე შეკრებები, განხილვები იმართება, მოთხოვნები გაისმის, მაგრამ საარჩევნო გარემო ისევ უთანაბროა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სხვა საკითხზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება. საუბარია უსაფრთხოების ნორმებზე. მე, როგორც მშენებელი, შემაშფოთა ერთმა განცხადებამ. ითქვა, რომ თბილისში, დაუმთავრებელ სახლებს სიმაღლე უნდა გაუზარდონ. ასეთი დაუმთავრებელი სახლი 170-ია. ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლება.

***— თუ ამ სახლებს ზემოდან დააშენებენ სართულებს, რომლებიც თავდაპირველად არ იყო დაგეგმილი, ეს სახიფათოა?***

— სწორედ ამის თქმა მინდა. არ შეიძლება სიმაღლის გაზრდა და ზედმეტი დაშენება. ჩვენ ისედაც სეისმურ ზონაში ვცხოვრობთ, მშენებლობებისას კი ხანდახან ნორმები ისედაც ირღვევა. ასეთი დარღვევები კომუნისტების დროსაც იყო. ზედმეტი პრობლემები მაინც არ უნდა შევქმნათ, თორემ, შეიძლება ასეთი „გაზრდილი“ კორპუსები თავზე ჩამოგვემხოს.



**არ შეიძლება სიმაღლის გაზრდა და ზედმეტი დაშენება. ჩვენ ისედაც სეისმურ ზონაში ვცხოვრობთ, მშენებლობებისას კი ხანდახან ნორმები ისედაც ირღვევა. ასეთი დარღვევები კომუნისტების დროსაც იყო. ზედმეტი პრობლემები მაინც არ უნდა შევქმნათ, თორემ, შეიძლება ასეთი „გაზრდილი" კორპუსები თავზე ჩამოგვემხოს.**

# ზაზა სარალიძე: „ძალიან დიდ შეცდომას ჩადის გიორგი გახარია, რომ ზვიად კუპრავასთვის უაზრო ბრალდების წაყენებას აპირებს“




— ძალიან დიდ შეცდომას ჩადის გახარია ამ შემთხვევაშიც, რომ ამ უაზრო ბრალდების წაყენებას აპირებს ზვიად კუპრავასთვის, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის მამამ ზაზა სარალიძემ ვაკე-საბურთალოს პოლიციის შენობასთან განაცხადა, სადაც იგი 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასადილოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

ზაზა სარალიძის გამოკითხვა ვაკე-საბურთალოს პოლიციის შენობაში თითქმის 3 საათის განმავლობაში გაგრძელდა. შენობის დატოვების შემდეგ ზაზა სარალიძემ განაცხადა, რომ საქალაქო სასამართლოს სასადილოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დეტალები გაიხსნა, რატომ გამოვიდა ზვიად კუპრავა სასამართლო დარბაზიდან, რატომ ჩავიდა სასადილოში და რა მოხდა იქ.

ზაზა სარალიძემ ზვიად კუპრავასთვის წაყენებულ ბრალდებას სულელური უწოდა.

— ეს არის სულელური ბრალდება. მე ვერანაირ ბრალეულობას ვერ ვხედავ, ვერ ვხედავ სამართლებრივ გადაცდომას იქიდან გამომდინარე, რომ ფაქტობრივად ყურადღებაა გამახვილებული იმ სიტყვებზე, რაც ზვიად კუპრავამ მოსამართლეზე წარმოთქვა. მაგრამ დაზუსტებული არ არის პოლიციის მხრიდან, რომელმა მოსამართლემ გასცა ზვიად კუპრავას სასამართლო დარბაზში დაბრუნების ბრძანება. აქ იყო ზოგადად მოსამართლე ნახსენები. პირველი სამართლებრივი გადაცდომა იყო სამართალდამცველებიდან ის, რომ ტყუილი თქვეს და მოსთხოვეს ზვიად კუპრავას, თითქოს მოსამართლის ბრძანებით უნდა მიეტოვებინა ჭამა და ასულიყო სასამართლო დარბაზში, — განაცხადა ზაზა სარალიძემ.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე მისთვის უცნობია, გაგრძელდება თუ არა ფაქტის მოკვლევა ან დახურავენ თუ არა საქმეს, თუ ბრალის წაყენებას გააგრძელებენ ზვიად კუპრავასთვის.

— ერთადერთი შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან დიდ შეცდომას ჩადის გახარია ამ შემთხვევაშიც, რომ ამ უაზრო ბრალდების წაყენებას აპირებს ზვიად კუპრავასთვის. როდესაც ჟღერდება ისეთი რამ, რომ კუპრავამ ორი გვამი შემოდო სადღაც სახურავზე, მშვიდობიანი აქციის მონაწილეები დაარბია, ასეთი ბრალდებები ისმის ზვიად კუპრავას მისამართით და რაღაცა სულელურ ინციდენტზე დაიწყეს ძიება. პირველ რიგში იმაზე უნდა დაიწყოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძიება და გამოააშკარაოს, რამდენად სიმართლეს შეესაბამება ზვიად კუპრავას იმდროინდელი ქმედებები, — განაცხადა ზაზა სარალიძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სასადილოში 12 ივნისს მომხდარი ინციდენტის დროს, ზვიად კუპრავას მიერ სასამართლოს უპატივცემულობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, ადმინისტრაციული წესით დაკავებული ზვიად კუპრავა სასადილოდან სასამართლოს დარბაზში ძალის გამოყენებით აიყვანეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ზვიად კუპრავა ზაზა სარალიძესთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად სასადილოში იყო ჩასული. მასთან საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ და დარბაზში ასვლა მოსთხოვეს. კუპრავამ პოლიციელებს უთხრა, რომ ის დაასრულებდა სადილობას და მალე ავიდოდა, თუმცა ამის საშუალება არ მისცეს და სასამართლო დარბაზში აიყვანეს.

მცირე შეხლა-შემოხლის დროს სასამართლოს სასადილოს ინვენტარი დაიმტვრა.

რეგიონი

# პანკისის ხეობა შესაძლოა წყლის გარეშე დარჩეს




პანკისის ხეობაში ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გაიმართა.

ადგილობრივები ჰესის მშენებლობის დაწყებას და სამუშაო პროცესის შეწყვეტას მოითხოვენ, რადგან მდინარე ალაზანს თუ მილებში მოაქცევენ, ხეობა წყლის გარეშე დარჩება.

— ხალხმა არ იცის თუ რა მოლაპარაკებები ჩაატარა კონკრეტულმა ჯგუფმა თბილისში, მაშინ ქუმსიშვილი იყო მინისტრი. ამ მოლაპარაკებების მსვლელობის შესახებ ხალხმა არაფერი არ იცოდა, — აღნიშნა პანკისის ხეობაში იმამის წარმომადგენელმა მუსა გოდერძიშვილმა.

აქციის მონაწილეებმა კომპანია „ფერი“-ს წარმომადგენელს სამუშაოების შეჩერება მოსთხოვეს და ტრაქტორს მილებისთვის ამოთხრილი არხი ამოავსებინეს.

# ბათუმში რესტორნები შეამოწმეს

ბათუმში აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ზაალ მიქელაძემ, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ და ამავე ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლელა სტურუამ, ექიმებთან ერთად რამდენიმე რესტორანი დაათვალიერეს.



თამბაქოს კონტროლის ალიანსის ინფორმაციით, შეხვედრა თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის საკომუნიკაციო პროგრამის ფარგლებში შედგა და ე.წ. საინფორმაციო-მაკონტროლებელ ხასიათს ატარებს.

— შემოწმდა რამდენად სრულფასოვნად სრულდება თამბაქოს კონტროლის კანონი, არის თუ არა თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული თამბაქოს ამკრძალავი ნიშნები, გაესაუბრნენ მომსახურე პერსონალს და სტუმრებს. აღნიშნული ჯგუფის განცხადებით, მათთვის მნიშვნელოვანია თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულება და საინფორმაციო-სარეკომენდაციო სახის ვიზიტები საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა დაწესებულებაში, ამიტომაც მონიტორინგს როგორც პარლამენტარები, ისე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები დროდადრო, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში განახორციელებენ. მათივე თქმით, მონიტორინგის სამსახურის მონაცემების მიხედვით, ზაფხულის სეზონზე კაფე-ბარებსა და რესტორნებში თამბაქოს კონტროლის კანონი ფაქტობრივად 100%-ით სრულდება. შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაა საჯარო დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში, სადაც ცალკეული პირები, მათ შორის, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები კაბინეტებში, დაკეტილი კარის მიღმა კვლავაც ეწევიან.

ჩვენ გაუფრთხილებლად ვესტუმრებით ყველა იმ ორგანიზაციას, რომელზეც მონიტორინგის სამსახური მამხილებელი ფაქტების გამო, როგორც დამრღვევზე გონივრულ ეჭვს მიიტანს. ამ კანონის აღსრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ არამწეველები სუნმა არ შეაწუხოს, არამედ, დავიცვათ ადამიანების ჯანმრთელობა თამბაქოს მეორადი კვამლის მავნე ზემოქმედებისგან, — განაცხადეს სარეიდო ჯგუფის წარმომადგენლებმა.




# მდინარე ალაზანში მსუბუქი ავტომანქანა 15 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა

თელავში ავარიის შედეგად 5 ადამიანი მძიმედ დაშავდა, მათ შორის ერთი ბავშვია. შემთხვევა ნაფარეულის გზაზე მოხდა. „ტოიტას“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა 15 მეტრის სიმაღლიდან მდინარე ალაზანში გადავარდა. მანქანაში მყოფი მგზავრები მძიმედ დაშავდნენ. ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

## სავალუტო ჯიხურები რიგი ვალდებულებების დარღვევისთვის 2 ათასი ლარით დაჯარიმდება

სავალუტო ჯიხურის რეგისტრაციისა და რეგულირების წესით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვე-



ვაში სუბიექტი დაჯარიმდება. აღნიშნულის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის, ბრძანებაშია აღნიშნული.

კერძოდ, ბრძანების თანახმად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის/ფილიალის მიერ „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესით" განსაზღვრული პუნქტის/ფილიალის ვალდებულებების შეუსრულებლობა 2 000 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

შეგახსენებთ, რომ ეროვნულმა ბანკმა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების ახალი წესი მიმდინარე წლის თებერვალში დაამტკიცა. ახალი წესის თანახმად, სავალუტო ჯიხურები 1-ელი მარტიდან ვალდებული გახდნენ, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ვალუტის გადაცვლის შემდეგ თანხა უკან დაუბრუნონ.

გარდა ამისა, ახალი წესის თანახმად, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია ასახული უნდა იქნეს პროგრამულად და ამოიბეჭდოს შესაბამისი ქვითარი, რომელიც უნდა გადაეცეს კლიენტს.

ამასთან, ახალი წესით, მათ შორის მკაცრდება, შესაფერისობის კრიტერიუმებისა და საოპერაციო ფართის მოწყობის კუთხით სარეგისტრაციო მოთხოვნები. კერძოდ, ახალი წესის თანახმად, პუნქტის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებული პირის მიერ სებ-ში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთოდეს: დირექტორის და ბენეფიციარი მესაკუთრის/მესაკუთრეების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის/მესაკუთრეების შესახებ; დირექტორის, აქციონერის/პარტნიორის და ბენეფიციარი მესაკუთრის ნასამართლეობის თაობაზე ცნობის დედანი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის გაცემიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნების შემთხვევაში – 60 კალენდარულ დღეს.

ასევე სავალუტო ჯიხურის რეგისტრაციისთვის საჭიროა: ვალუტის გადაცვლის ოპერაციების აღსარიცხავად, სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება; შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, საგანგაშო ღილაკის დამონტაჟების შეუძლებლობის შემთხვევაში – შესაბამისი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან; გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის ასლი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ დაინტერესებული პირის მიერ, რომელსაც სურს ვალუტის გადაცვლის საქმიანობა აწარმოოს თბილისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ოზურგეთის, ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ საზღვრებში და სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

იპნ

# „გიორგი შენგელაიას ბოლმიანი გამონათქვამებისთვის სტიპენდიას არავინ მოუხსნის"

## ბიძინა გუჯაბიძე: „ბიძინა ივანიშვილი ასე ცალ-ცალკე ვინმეს ბიოგრაფიას არ განიხილავს და ისე არ უნიშნავს დახმარებას"



გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობა" დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს ესაუბრა.**

***— ბატონო ბიძინა, მოგეხსენებათ, გიორგი შენგელაია, რომელიც ჯერ ბიძინა ივანიშვილს აქებდა, შემდეგ გადაირია, ბიძინა სტიპენდიას მიხსნისო. უმადურობა ხომ არ გამოდის ინტელიგენციის ამ წარმომადგენლის მხრიდან ბიძინა ივანიშვილის ათასგვარი ეპითეტებით შემკობა?***

— ინტელიგენტობა სულიერი მდგომარეობაა და სულაც არ ნიშნავს პატრიოტს, ან კინორეჟისორს. შეიძლება ადამიანი არ იყოს კინორეჟისორი, მაგრამ იყოს ინტელიგენტი. რაც 90-იან წლებში ინტელიგენციას დაემართა, კარგზე არაფერზე მეტყველებს.

***— რას გულისხმობთ?***

— 90-იან წლებში მათ ქცევას. კანონიერ ხელისუფლებას მუშაობა არ აცალეს – ჯერ კიბეებზე ჩამოსხდნენ, შემდეგ ათასგვარ სისულელეს აბრალებდნენ პრეზიდენტს. ფაქტებზე დამყარებული ინფორმაციები არ იყო. მათი ქმედება გამომდინარეობდა პრივილეგიების დაკარგვის შიშიდან, რაც მათ სულიერ მდგომარეობაზე მეტყველებს. ამ ინტელიგენციიდან ზოგი იარაღითაც კი ეხმარებოდა პუტჩისტებს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში და დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება სისხლში ჩაახშეს.

***— ახლა გამახსენდა შევარდნაძის გამონათქვამი 1992 წლის 6 მარტს, როცა მან თვითმფრინავის ტრაპიდან ფეხი გადმოდგა, თქვა, დიდი მადლობა ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი აიღო ხელში და გამსახურდიას ხელისუფლება დაამხოო.***

— გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა მისი მონაწილეობითაც განხორციელდა. ამიტომ მიესალმა ის ინტელიგენციას. შემდეგ ეს მან უარყო, მაგრამ ვიდეოფირები არსებობს, სადაც აშკარად ისმის მისი ხმა.

შეიძლება ადამიანი შეცდა, რაღაც მოტივაცია ჰქონდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგაც ინტელიგენციის იმ ნაწილიდან, რომლებიც იარაღითაც და იდეოლოგიურადაც უზრუნველყოფდნენ პუტჩისტებს, ქვეყნის ნგრევის მოსურნეებს (ბევრი არ დაღუპულა, ცოცხალია), ერთხელ არ გამოუთქვამთ სინანული.

გიორგი შენგელაიას გამონათქვამზე იწერება, რომ მან ბიძინა ივანიშვილზე კრიტიკული აზრი გამოთქვა. კრიტიკა კი არა, უშვერი ლანძღვა, პიროვნების შეურაცხყოფაა და არავითარი საერთო არ აქვს პოლიტიკურ შეხედულებებთან. პოლიტიკური გამონათქვამი არ არის ადამიანის უწიგნურად და გაუნათლებლად მონათვლა და საქართველოს ერთ-ერთი კუთხის განქიქება – თითქოს „იმერელი" სალანძღავი სიტყვა იყოს.

***— ხომ არ იცით, ბიძინა ივანიშვილს რა აზრი აქვს გიორგი შენგელაიაზე?***

— არა. ბიძინა ივანიშვილი არ არის ის კაცი, შენგელაიას დონეზე დავიდეს, ლანძღვა დაიწყოს და რაიმე პასუხი გასცეს შენგელაიას.

როდესაც გიორგი შენგელაიამ დაიწყო ლანძღვა, იფიქრეს, სტიპენდიის მიღება არ უნდაო და შეატყობინეს, თუ არ გინდათ, დაწერეთ განცხადება და უარი თქვით თანხის მიღებაზეო. გიორგი შენგელაიამ ჩათვალა, სტიპენდიას მიხსნიანო და აჟიოტაჟი ატეხა. მერე რაც იკადრა თავისი ძმის სტიპენდიის საკითხზე, იმაზე უარესია, რაც ბატონი ბიძინას მისამართით თქვა.



**როდესაც გიორგი შენგელაიამ დაიწყო ლანძღვა, იფიქრეს, სტიპენდიის მიღება არ უნდაო და შეატყობინეს, თუ არ გინდათ, დაწერეთ განცხადება და უარი თქვით თანხის მიღებაზეო. გიორგი შენგელაიამ ჩათვალა, სტიპენდიას მიხსნიანო და აჟიოტაჟი ატეხა. მერე რაც იკადრა თავისი ძმის სტიპენდიის საკითხზე, იმაზე უარესია, რაც ბატონი ბიძინას მისამართით თქვა**

***— წლების წინ მე ინტერვიუს ვწერდი მაშინ გენპროკურორის მოადგილე რეზო ყიფიანთან. ინტერვიუს შემდეგ რეზო ყიფიანმა მეორე ოთახიდან გამოიტანა თავისი მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან გააკეთა სომხეთიდან დაბრუნების შემდეგ. მოხსენებით ბარათში ეწერა, გადატრიალების მონაწილე ინტელიგენციისა და პროკურატურის წარმომადგენლები, რომელთა შორის შენგელაიებიც იყვნენ, როგორ ჩავიდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას დასაპატიმრებლად სომხეთში და სომხეთის ხელისუფლებას სთხოვდნენ მის გადაცემას. იმ დროს გამსახურდია იჯევანში იმყოფებოდა.***

— დიახ, ისინი სომხეთის პრეზიდენტს სთხოვდნენ, გამსახურდია დაეპატიმრებინათ და გადაეცათ მათთვის.

***— მოხსენებით ბარათში ეწერა, როგორ სთხოვდნენ ისინი სომხეთის პრეზიდენტს გამსახურდიას იზოლაციას მსოფლიო პრესისა და ლიდერებისაგან.***

— დიახ, ასე იყო, რამდენიმე პროკურორი და ინტელიგენციის წარმომადგენელი წავიდა ერევანში და ითხოვდნენ გამსახურდიას გადმოცემას.

***— იმ მოხსენებით ბარათში რეზო ყიფიანი წერდა, რომ სომხები სამაგიეროდ ჯავახეთთან დაკავშირებით ევაჭრებოდნენ.***

— რაზმაძე ხომ გახსოვთ, პუტჩისტების გენპროკურორი რომ იყო, მან ინტერვიუში განაცხადა, სომხებისგან მოვითხოვდით ზვიად გამსახურდია გადმოცემას და სომხებს ვარწმუნებდით, მას ოსი ხალხის გენოციდი აქვს ჩადენილიო. ამას იმიტომ ვეუბნებოდით, გენოციდი უმძიმესი დანაშაულია და იძულებული გამხდარიყვნენ, გამსახურდია ჩვენთვის გადმოეცათო. სომხეთის ხელისუფლება ყოყმანობდა. მათ დაასწრო ჯოჰარ დუდაევმა. აიძულეს სომხეთის ხელისუფლება, ზვიად გამსახურდია დუდაევის ხალხისთვის გაეტანებინათ.

***— ყიფიანი ნათლად წერდა, რომ სომხებს უნდოდათ, მესხეთ-ჯავახეთთან დაკავშირებით რაღაც დათმობისთვის მიეღწიათ.***

— არ გამოვრიცხავ. რაზმაძე ცდილობდა, საერთაშორისო დანაშაულში ემხილა გამსახურდია, რომ მიეღწია მისი დაპატიმრებისთვის.

***— რეზო ყიფიანმა ამ დოკუმენტის შინაარსი ჩაწერის გარეშე გამაცნო. მეორედ სპეციალურად მივედი, დოკუმენტი კიდევ გამოვატანინე, ხმამაღლა დავიწყე კითხვა და მისი ფარულად ჩაწერა. თუმცა, მიხვდა და წამართვა. მერე ისე გარდაიცვალა, ველარ დავეკონტაქტე. მინდოდა ეს დოკუმენტი ჩემთვის გადმოეცა. ალბათ, ოჯახში დარჩა, თუ მთავარი პროკურატურიდან წამოსვლის შემდეგ წამოიღო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მოიპოვებს კი ოდესმე გამოძიება მას?***

— საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლები, მათ შორის, კოკო გამსახურდია იკვლევდნენ ამ საკითხს. გამსახურდიას საქმის გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის. გამოძიების ფარგლებში შესაძლებელია დოკუმენტის მოპოვება.

***— რატომ ხდება, რომ ამ ქვეყანაში დამოუკიდებლობის 25 წლის განმავლობაში ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებსაც ქვეყნის ნგრევაში დიდი წილი აქვთ, პატივში არიან, ხოლო ვინც მართლა პატრიოტია, დაუფასებელია?***

— ეგ დიდი თემაა. ეპოქის ანალიზია საჭირო და დოკუმენტებით დამაგრება, რომ დამსახურებულ ადამიანებს ნაკლები ყურადღება ექცევა, ხოლო დაუმსახურებლები პატივში ჰყავთ. ეს საზოგადოების განსახილველი თემაა და არა – სახელმწიფოსი. სახელმწიფო სამსახურში მე ვერ ვხედავ ვერც ერთ პუტჩისტს. შეიძლება სააკაშვილის დროს ვიღაც იყო.

***— მე ვხედავ, მაგალითად, გიგა ბოკერიას. „ახალმა თაობამ" დაბეჭდა ჩემი ინტერვიუ გივი გორგილაძესთან, რომელმაც განაცხადა, რომ 1992 წელს გივი გორგილაძესა (ის მოსკოვში ცხოვრობდა და იმ დროს ჩამოსული იყო) და ვალერია ნოვოდვორსკაიას გიგა ბოკერიამ უნივერსიტეტის ეზოში ავტომატის კონდახით სცემა, დააპატიმრა და ჯაბასთან მეცნიერებათა აკადემიის შენობაში მიიყვანა, სადაც ოფისი ჰქონდა. დღეს გიგა ბოკერია საგამოძიებო კომისიაშია.***

— ეგ ძალიან დიდი თემაა. უმრავლესობაში ვერ ვხედავ პუტჩის მონაწილეებს. ოპოზიციაში თუ არის სააკაშვილის ხელისუფლებიდან გადმონაშთი, მათ პასუხი უნდა აგონ, არა მხოლოდ წარსულში, არამედ უახლოეს პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამო. ამას დრო სჭირდება. ჯერ სიტუაცია მომზადებული არ არის. სახელმწიფოც არ არის ჯერ ისე ძლიერი, რომ ამ ადამიანებს პასუხის აგებინოს. მათ თავისი დამცველები ჰყავთ და ძნელია. ახლა სახელმწიფო სტაბილიზაციის პერიოდშია. ჯერ სახელმწიფო სახელმწიფოს უნდა დაემსგავსოს, რომ ყველა კითხვას პასუხი გაეცეს.

***— თუ პუტჩისტები არ არიან ხელისუფლებაში, შევარდნაძეც არ არის ცოცხალი, რა უშლის ხელს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას?***

— არ ვიცი.

***— არ დაინტერესდით და არ იკითხეთ? თქვენ პარლამენტის წევრი ბრძანდებით და, 1992 წლიდან მოყოლებული, ყველა პროცესი, ყველას როლი კარგად იცით. ყველას თუ არა, საზოგადოების ნაწილს ხომ მაინც აინტერესებს ეს საკითხი?***

— ეს საჭირბოროტო ეროვნული საკითხია. გარკვეული მცდელობები გვქონდა, ამაზე ყურადღებას ვამახვილებ, მაგრამ სახელმწიფოს ამ საკითხის გარკვევა ამ ეტაპზე არ შეუძლია.

***— რატომ არ შეუძლია?***

— მხოლოდ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ხომ არ არის, გასარკვევია, რამ გამოიწვია ეს მკვლელობა, რა ვითარება იყო, რა ძალები იყვნენ ჩართული, ეს მარტო ერთი საგამოძიებო ჯგუფის გასარკვევი არ არის, სამეცნიერო თემაცაა. უნდა შეიქმნას ძლიერი დოკუმენტი, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის იქნება. არ იქნება მხოლოდ გამოძიების შედეგები.

გამსახურდიას მომხრეები ჩვენც ვიყავით, კონსერვატორები, გარკვეული წნეხი განვიცადეთ, ზოგი გადაიხვეწა, ზოგი მოკლეს. უნდა გაირკვეს, ვინ რა ჩაიდინა, რა რეციდივები მოჰყვა მაშინ განვითარებულ პროცესებს, რომელიც ტრაგედიით დასრულდა. ყველა საკითხს ძირფესვიანად უნდა შესწავლა. რა ძალები მოქმედებდნენ, ამაზე დოკუმენტი უნდა დაიდოს.

***— ბიძინა ივანიშვილმა იცის, რა განწყობა აქვს მოსახლეობას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ის სტიპენდიას უხდის?***

— ბიძინა ივანიშვილი ასე ცალ-ცალკე ვინმეს ბიოგრაფიას არ განიხილავს და ისე არ უნიშნავს დახმარებას. მან შექმნა ფონდი, რომელსაც აქვს წესდება და იმის მიხედვით მოქმედებენ. დებულებაში წერია, საზოგადო მოღვაწეს რა რაოდენობის პენსია უნდა დაენიშნოს, სხვა კატეგორიას – რამდენი.

***— ბიძინა ივანიშვილის მოწინააღმდეგეებისგან მოვისმინე, რომ ინტელიგენციისთვის დახმარების მაგივრად, სჯობს, ადამიანების ჯანმრთელობის სამედიცინო გამოკვლევა დააფინანსოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში, ან ავადმყოფ ბავშვებს მკურნალობის ფული გადაუხადოს.***

— მეც წავიკითხე ასეთი მოსაზრებები, მაგრამ ერთ ადამიანს, რაც უნდა დიდი მატერიალური შესაძლებლობისაც უნდა იყოს, გაუჭირდება ყველა მასშტაბის განსაზღვრა. ბიძინას დაფინანსებული აქვს ძალიან ბევრი ბავშვის მკურნალობის ხარჯები. ბუბა კიკაბიძესა და ალექსანდრიას მათივე მოთხოვნით შეუწყვიტეს დაფინანსება.

***— ბუბა კიკაბიძეს რად უნდოდა დაფინანსება, როდესაც რესტორნების ქსელი აქვს. როცა ერთი რესტორანი გახსნა, მაშინ უნდა ეთქვა, დაფინანსება არ მინდაო.***

— ბუბა კიკაბიძისთვის დაფინანსების საკითხი ცალკე კი არ განხილულა, ზოგადად ხელოვან ხალხზე გაიცა. ბიძინა ივანიშვილს ცალ-ცალკე ეს თემები არ განუხილავს.

***— სია ვინ გადასცა?***

— იმდროინდელმა კულტურის სამინისტრომ ფონდს სიები გადასცა. ეს ახალი დანიშნული ხომ არ არის. ბიძინა ივანიშვილი 20 წელია, ადამიანებს სტიპენდიას უხდის.

***— გადაიანგარიშეს და გიორგი შენგელაიას 700 ათასი აქვს აღებული. სირცხვილი არ არის, რომ გამომდგარა და ტირის, სტიპენდიას მიხსნიანო?***

— სირცხვილია, მაგრამ მის ბოღმიან გამონათქვამებზე შენგელაიას სტიპენდიას არავინ უხსნის.

# საქართველოში ყოველი ახალშობილი 4 ათას ლარზე მეტი ვალით იბადება



– მთავრობა ერთი წლით ადრე გეგმავს, რამდენი ვალი უნდა აიღოს და რამდენს უნდა შეადგენდეს ეს როგორც ნომინალში, ისე ეკონომიკასთან მიმართებაში. სახელმწიფო ვალი დაუგეგმავად არ გაიზარდა. ვალის ზრდა ყოველთვის ცუდი პრაქტიკაა და რაც ნაკლებია, მით უკეთესია. მთავრობა ვალებს ძირითადად რამდენიმე მიმართულებით იღებს, ერთ-ერთია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ხარჯები, – ეს შეფასება ეკონომისტმა ზვიად ხორგუაშვილმა „კომერსანტთან“ მთლიანი საგარეო ვალის ზრდის შეფასებისას გააკეთა.

ხორგუაშვილის შეფასებით, საგარეო ვალი კრიტიკულ ზღვარზე არ არის, მაგრამ ფულის სესხების ტემპი მაღალია:

– ნომინალში რომ ვნახოთ, არასდროს არაფერს არ გვეტყვის ვალი. ეკონომიკასთან (მშპ-ს თან) მიმართებაში ვალი არის 43-44%. ხუთი წლის წინ სამთავრობო ვალი მშპ-სთან 34% იყო. მკვეთრი ზრდაა ბოლო პერიოდში. ეს მეტწილად უკავშირდება ლარის კურსის გაუფასურებას, მაგრამ ამის მიუხედავად, მთავრობა განაგრძობს ვალის სწრაფი ტემპით აღებას. ეს ყველაფერი მოქმედებს ქვეყნის რეიტინგებზე, გადახდისუნარიანობასა და საკრედიტო მდგომარეობაზე. ვალი მშპ-სთან მიმართებაში უნდა იყოს დაბალ ზღვარზე. რადგან ეს არის სიგნალი ინვესტორებისთვის. ისეთი ტემპებით, რითაც ვალის აღების მიმართულებით მივდივართ, ჩვენ კრიტიკულ ზღვარს ვუახლოვდებით. შეიძლება ამ კონკრეტულ მომენტში ჩვენ არ ვიღუპებით, მაგრამ იზრდება ვალი მშპ-სთან მიმართებაში, რაც ცალსახად უარყოფითია. საშუალოდ ყოველი ახალშობილი იბადება 4,5 ათას ლარზე მეტი ვალით.შესაბამისად, მთავრობის პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ვალის შემცირებაზე.“

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით 17.5 მლრდ აშშ დოლარი (42.2 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 111.5 პროცენტია.

2018 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 192.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, აქედან, საკურსო ცვლილებების გამო – 238.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო ოპერაციული ცვლილებების გამო, ვალი 21.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ამავდროულად, ფასის და სხვა ცვლილებების გამო ვალი შესაბამისად 57.0 და 9.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7.4 მლრდ აშშ დოლარი (17.9 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 47.3 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ აშშ დოლარი (13.0 მლრდ ლარი; მშპ-ს 34.5 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 297.7 მლნ აშშ დოლარი (718.8 მლნ ლარი; მშპ-ს 1.9 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად – 824.5 მლნ აშშ დოლარი (2.0 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.3 პროცენტი) და 892.2 მლნ აშშ დოლარი (2.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.7 პროცენტი).

**კომერსანტი**

# ბიტკოინის ფასი 6,000 დოლარს ჩამოსცდა — გაგრძელდება თუ არა ვარდნა?



ბიტკოინის ფასი პარასკევს 6,000 დოლარს ჩამოსცდა. კრიპტოთრეიდერისა და გადაცემის, Crypto Trader-ის წამყვანის, რენ ნოი-ნერის განცხადებით, მომავალში საბაზრო კაპიტალიზაციით უმსხვილესი კრიპტოვალუტის შემცირება კვლავ უნდა ვივარაუდოთ.

ბიტკოინის ფასი პარასკევის 15:00-ის მონაცემებით 5,922 დოლარს შეადგენდა. ნოი-ნერი ამბობს, რომ ბიტკოინის ვარდნა სხვა კრიპტოვალუტების გაუფასურებასაც გამოიწვევს და რომ ამ მოსაზრებას 60%-იანი ალბათობა აქვს.

მიმდინარე თვის დასაწყისში ნოი-ნერმა ივარაუდა, რომ ბიტკოინის ფასი ივნისის ბოლოს 5,000 დოლარამდე გაუფასურდებოდა. ბიტკოინმა ღირებულების მაქსიმუმს გასული წლის დეკემბერში მიაღწია, როდესაც მისმა ფასმა თითქმის 20,000 დოლარი შეადგინა. მას შემდეგ „საპნის ბუშტის“ თეორია, რაზეც არაერთი ინვესტორი საუბრობდა, დიდწილად გამართლდა და კრიპტოვალუტებმა ღირებულების დიდი ნაწილი დაკარგეს.

კრიპტოვალუტებით დაინტერესებულ ადამიანებს ნოი-ნერი ნეოთი და კარდანოთი დაინტერესებას ურჩევს. მისი აზრით, აღნიშნული ორი კრიპტოვალუტა ამ ეტაპზე ძალიან დაუფასებელია.

**კომერსანტი**

# ეკონომიკის ზრდას მხოლოდ კონკრეტული ბიზნესჯგუფები გრძნობენ



– ის, რომ მაისში ეკონომიკა 7.5 პროცენტით გაიზარდა, იმის მანიშნებელია, რომ ჩვენს ეკონომიკას ინკლუზიურობა აკლია, – ამის შესახებ „კომერსანტს“ ეკონომიკის დოქტორმა და პროფესორმა ვახტანგ ჭარაიამ განუცხადა. როგორც ცნობილია, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2018 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7,5 პროცენტი შეადგინა. 2018 წლის პირველი ხუთი თვის საშუალო რეალური ზრდა კი 6,1 პროცენტი დაფიქსირდა.

– წინასწარი შეფასებით, 2018 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა ტრანსპორტის, დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის, საფინანსო საქმიანობის, სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში, – აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

ეკონომიკის დოქტორი და პროფესორი ვახტანგ ჭარაია განმარტავს, რომ ეს მონაცემი ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ამსახველი რიცხვებია. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ეს მაჩვენებლები არის ვიწრო ეკონომიკური სფეროების მიერ მიღებული შედეგი და ნიშნავს იმას, რომ ქართულ ეკონომიკას ინკლუზიურობა აკლია.

– რამდენიმე დარგის წარმატება-წარუმატებლობაზე ვართ დამოკიდებული. ესენია, საბანკო სისტემა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მომსახურების სფერო. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ძირითადად უცხოური ინვესტიციებითაა დაფინანსებული. ეს მიმართულებები ჩვენ დივერსიფიცირებული უნდა გვქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ იმას, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი გვიფიქსირდება, მოსახლეობა კი ამ სიკეთეს ვერ გრძნობს თავის თავზე. ამის მიზეზი ის არის, რომ კონკრეტულ ბიზნესოპერატორებს ეზრდებათ მოგება, ეს კი მოსახლეობის ხელფასებზე არ ისახება, – აცხადებს ჭარაია.

მისივე მტკიცებით, შექმნილ სიტუაციაში ორი პრობლემა არსებობს. პირველი – რომ ეს ციფრები სწორია და მასში ეჭვის შეტანას აზრი არ აქვს.

მეორე – მოსახლეობის ფართო ფენები ვერ გრძნობენ ამ წარმატებას, გრძნობენ მხოლოდ კონკრეტული ბიზნესჯგუფები, რომლებიც დასახელებულ 3-4 სფეროში არიან წარმოდგენილნი.

– ბანკმა წლიდან წლამდე შესაძლოა რამდენიმემილიონიანი მოგება ნახოს და ეს თანამშრომლების ხელფასების ზრდაზე არ აისახოს. საბანკო სექტორმა წინა წელთან შედარებით 200-მილიონიანი მოგება ნახა, მაგრამ რიგით თანამშრომლებზე ეს არ ასახულა. ეს არის ზუსტად ის, რომ ზრდა არაინკლუზიური იყო, – აცხადებს ჭარაია.

ეკონომიკის დოქტორი და პროფესორი გამოსავალზეც საუბრობს და აცხადებს, რომ რამდენიმე დარგი, რომელიც ქვეყანაშია წარმოდგენილია, უნდა გაფართოვდეს, რაც დარგებს შორის კონკურენციას გაზრდის.

– როდესაც პროფესიების მიხედვით ხალხი გადანაწილდება, იგივე საბანკო სექტორი იძულებული იქნება, მაღალი კონკურენტუნარიანი ხელფასი დანიშნოს, – აცხადებს ჭარაია.

შეგახსენებთ, საქართველოს მთავრობა წლების წინ პრიორიტეტად ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდას ასახელებდა. ამ თემაზე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ აქტიურად საუბარი 2014 წელს დაიწყო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაშიც ჩაწერა. სწორედ ამ დოკუმენტით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პრიორიტეტად განსაზღვრა განვითარება, რომელსაც სარგებელს ფართო საზოგადოებისთვის და არა მხოლოდ საზოგადოების ვიწრო ჯგუფში შემავალი ცალკეული ინდივიდებისთვის მოიტანდა.

ინკლუზიური (საყოველთაო ეკონომიკური ზრდა) ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობა სტრატეგიაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარებაზე, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფასა და ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფაზე საუბრობდა.

**კომერსანტი**

# „ეკონომიკური ზრდის ასეთი მაღალი მაჩვენებელი 10 წელია არ გვქონია“




საგარეო ვაჭრობასა და ბიზნესის ბრუნვის ზრდას უკავშირებს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა“ ასოციაციის ანალიტიკოსი ანდრია გვიდიანი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას მაისში ეკონომიკის მაღალ ზრდას. მისივე თქმით, ასევე მნიშვნელოვანია ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა ბოლო წლებში, რომელიც ბიზნესის კეთილდღეობაზეა მორგებული და სწორედ ასეთმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა.

შეგახსენებთ, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მაისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკა 7,5%-ით გაიზარდა, 2018 წლის პირველი ხუთი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ კი 6,1% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ასეთი მაღალი ეკონომიკური ზრდა არ დაფიქსირებულა. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის მაისში ეკონომიკის 5.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა; 2016 წლის მაისში – ეკონომიკა 2,1%-ით გაიზარდა; 2015 წლის მაისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 2,1%; 2013 წელს კი – 0.0% შეადგინა. რაც შეეხება 2014 წელს, აღნიშნული პერიოდის მონაცემი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე არ მოიპოვება.

– მაისში ეკონომიკის 7,5%-იან ზრდას ძირითადად ორი ფაქტორი განაპირობებს. ზოგადად რეგიონში არის გაჯანსაღებული ეკონომიკური მდგომარეობა, რაც, რა თქმა უნდა, აისახა ჩვენს საგარეო ვაჭრობაზე, მათ შორის გაზრდილია ექსპორტის მაჩვენებელიც, რამაც, ბუნებრივია, მაისში ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა იქონია.

გარდა ამისა, გაზრდილია საწარმოთა ბრუნვაც და ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში ხელისუფლების მიდგომა და პოლიტიკა ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, შემიძლია მოვიყვანო ბოლო პერიოდში განხორციელებული დღგ-ს ავტომატური დაბრუნების რეფორმა; მცირე და საშუალო ბიზნესის რეფორმა; ასევე ცოტა უკან რომ წავიდეთ, ეკონომიკურ ზრდაში თავისი წვლილი აქვს წინა მთავრობის პერიოდში ამოქმედებულ ესტონურ მოდელს, რამაც თავისი შედეგი უკვე დადო და რეინვესტირებული მოგება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, – აღნიშნა გვიდიანმა.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ფონის კავშირს, გვიდიანი აღნიშნავს, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოწვეულ კეთილდღეობას მოქალაქეები გრძელვადიან პერსპექტივაში იგრძნობენ.

– ეკონომიკურ ზრდას მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში არ უნდა შევხედოთ. ნებისმიერი ეკონომიკური თეორიის თანახმად, მაღალი ეკონომიკური ზრდა საშუალოვადიან პერიოდში სოციალური უთანასწორობის გაზრდას იწვევს, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში მაღალი ეკონომიკური ზრდა სოციალურ ფონთან თანაფარდობაში მოდის. შესაბამისად, წლების განმავლობაში რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდა, ეს ნელ-ნელა, ეტაპობრივად იწვევს თითოეულ მოქალაქეზე იმ სიკეთეების განაწილებას, რაც ზოგადად მაღალ ეკონომიკურ ზრდას მოაქვს, – აცხადებს გვიდიანი.

სტატისტიკოს სოსო არჩვაძის შეფასებით, მშპ-ს ასეთი მაღალი ზრდის მაჩვენებელი 10 წელიწადზე მეტია არ დაფიქსირებულა. როგორც მან ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ბოლოს ყველაზე მაღალი, 10%-ზე უფრო მაღალი ზრდა იყო 2007 წელს, თუმცა ეს წლიური ეკონომიკური მაჩვენებელი იყო.

კითხვაზე, ეკონომიკური ზრდა რატომ არ აისახა მოსახლეობაზე, ეკონომიკის დოქტორი ამბობს, რომ ერთია ეკონომიკური ზრდა და მეორე, მისი კავშირი მოსახლეობის კეთილდღეობასთან.

– ეკონომიკა იზრდება ვაჭრობის ან ტრანსპორტის სფეროში, სოფლის მეურნეობაში კი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული – არა, მეტიც, აქ შემცირებას აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში კი ამ ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, ვერ მოხდება, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

**ი3ნ**

# აგროდაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა 47%-ით შემცირდა



სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2018 წლის აპრილ-მაისში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 5 688 პოლისია გაცემული. როგორც აგროდაზღვევის პროექტის მენეჯერმა „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადა, გაცემული პოლისების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 47%-ით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 19%-ით არის შემცირებული. მისივე თქმით, ბენეფიციართა რაოდენობის კლება აგროდაზღვევაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია.

– ახალი წესებით, აპრილიდან აგროდაზღვევით სარგებლობა მხოლოდ იმ ფერმერებს შეუძლიათ, რომლებსაც მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული აქვთ საჯარო რეესტრში. ზოგადად, მიწის რეგისტრაციის სავალდებულოობის კომპონენტი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. საკადასტრო მონაცემების მოწესრიგება ინვესტიციებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე ამ მონაცემების დაზუსტება აუცილებელია ჩვენი პროექტისთვისაც. მოგეხსენებათ, აგროდაზღვევა ყოველ წელს კონკრეტული დადგენილებით ხორციელდება და არის ერთწლიანი. ახლო მომავალში კი გრძელვადიან მოდელზე გადასვლას ვაპირებთ, – აღნიშნა ნატალია ხარატიშვილმა.

აგროდაზღვევის პროექტის მენეჯერის ინფორმაციით, ყველაზე დიდი რაოდენობის პოლისი კახეთის რეგიონშია გაცემული, მეორე ადგილზე კი შიდა ქართლია.

ამჟამად აგროდაზღვევას ფერმერებს 7 სადაზღვევო კომპანია სთავაზობს: არდი, ალდაგი, აისი, თიბისი დაზღვევა, ალფა, საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი და ჯიპიაი.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2014 წლის 1-ელი სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

**ი3ნ**

# „ირაკლი ნოზაძის დაჭრაში ბრალდებული თამთა ჯანჯღავა ფსიქოტროპულ პრეპარატებს მოიხმარდა“

## თამთა ჯანჯღავას და ნათია თოფურიას პატიმრობა შეეფარდათ

მომღერალ ირაკლი ნოზაძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ თამთა ჯანჯღავას და დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულ ნათია თოფურიას 29 ივნისს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ სოლისტი ირაკლი ნოზაძე რამდენიმე დღის წინ დაჭრეს. საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი გოგო დააკავა, მათ შორის თამთა ჯანჯღავას განზრახ მკვლელობის მცდელობა ედება ბრალად, მის მეგობარ ნათია თოფურიას კი – დანაშაულის შეუტყობინებლობა.

ჯანჯღავა აღნიშნული კვალიფიკაციით ბრალს არ აღიარებს და დუმილის უფლებას იყენებს.

მისი ადვოკატის ინფორმაციით, ნოზაძესთან კონფლიქტი ვალს უკავშირდებოდა, თავად მომღერალი ამ დრომდე ღუდუშაურის კლინიკაშია მოთავსებული.

პროცესზე მოსამართლემ სახელმწიფო ბრალდებას დაავალა, მოიძიოს შესაბამისი ნათესავი ან მეურვე, რომელსაც თამთა ჯანჯღავას მცირეწლოვან შვილებს გადასცემს.

***

– თამთა ჯანჯღავას ქცევა დანაშაულის ჩადენამდე მიანიშნებს, რომ ის არაკანონმორჩილი პიროვნებაა და შესაძლებელია, მან განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა, – განაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ ბრალდებულები იცნობენ საქმეზე დაკითხულ მოწმეებს და მაღალი რისკი არსებობდა, რომ მათზე რაიმე სახის ზემოქმედება განხორციელებულიყო.

ამასთან, მოსამართლემ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ჯანჯღავამ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შემდეგ საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებაც სცადა.

– როგორც საქმის გარემოებებიდან იკვეთება, ბრალდებული თამთა ჯანჯღავა შეეცადა და მოიშორა კიდეც საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები თავიდან, ვგულისხმობ დანას. მან ასევე გამოიცვალა ის მაისური, რომელიც ეცვა სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს. გარდა ამისა, მოწმეებთან, ვინც არიან დაკითხულები და შემდეგ სასამართლოზეც უნდა დაიკითხონ, აქვთ ახლო ურთიერთობები ორივე ბრალდებულს და, აქედან გამომდინარე, არსებობს მათზე ზემოქმედების რეალური საფრთხეები.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე თამთა ჯანჯღავას ქცევაზე, სავარაუდო დანაშაულის ჩადენამდე. როგორც იკვეთება საქმეში არსებული ინფორმაციიდან, სავარაუდოდ, იგი უგულებელყოფდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს.



ეს გარემოება, სხვა სეგმენტებთან ერთობლიობაში, მიანიშნებს, რომ თამთა ჯანჯღავა არაკანონმორჩილი პიროვნებაა და შესაძლებელია, მან განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა, მით უფრო, როგორც ამ ეტაპზე დგინდება, კონფლიქტი ჯერჯერობით ამოწურული არაა, – განაცხადა მოსამართლემ.

გიორგი კერატიშვილმა განმარტება გააკეთა თამთა ჯანჯღავას მცირეწლოვან შვილებთან დაკავშირებითაც.

– რაც შეეხება თამთა ჯანჯღავას შვილებს, სასამართლომ იმსჯელა დაცვის მხარის არგუმენტაციასთან დაკავშირებით. ახლა ისინი იმყოფებიან ნათესავებთან. ბრალდების მხარეს დაევალა შესაბამისი რეაგირების მოხდენა. იგი შეადგენს დოკუმენტალურად ოქმებს. თუ რომელიმე ნათესავი აიღებს თავის თავზე მზრუნველობის გაწევას მცირეწლოვან ბავშვებზე, ბავშვები მასთან დარჩებიან, თუ არა და სახელმწიფო მოიძიებს შესაბამის დაწესებულებას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ამ მცირეწლოვანი ბავშვების ნორმალური განვითარება და აღზრდა, – განმარტა გიორგი კერატიშვილმა.

***

სასამართლოს შემდეგ საქმის პროკურორმა თამარ მისაბიშვილმა განაცხადა, რომ ნათია თოფურიას ნარკოტიკების, თამთა ჯანჯღავას კი ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარება დაუდგინდა.

როგორც მისაბიშვილმა აღნიშნა, თოფურია ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, სავარაუდოდ, ირაკლი ნოზაძის დაჭრის დროს იმყოფებოდა.



– ბრალდების მხარეს ჰქონდა მოლოდინი, რომ სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას გამოიყენებდა, რადგან სახეზე იყო ამის ყველა საფუძველი. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ნამდვილად ასაბუთებდა, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეები ნამდვილად არსებობდა.

რაც შეეხება ბრალდებულების მიერ ნარკოტიკების მოხმარებას, ნათია თოფურიას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ხოლო მეორე ბრალდებულს – ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარება, – განაცხადა პროკურორმა.

თამთა ჯანჯღავას ადვოკატი ადასტურებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ფსიქოტროპულ პრეპარატებს მოიხმარდა.

როგორც არჩილ შაბაშვილმა განმარტა, მის კლიენტს ჯანმრთელობის პრობლემებიდან გამომდინარე, ექიმის დანიშნულებით გამოწერილი ჰქონდა მსგავსი სახის პრეპარატები. მისივე თქმით, პროკურატურა არ დაინტერესებულა იმით, თუ რის გამო მოიხმარდა ჯანჯღავა პრეპარატებს.

– შესაძლოა, მკურნალობის დროს ადამიანმა მოიხმაროს ფსიქოტროპული საშუალებები, ექიმის დანიშნულებით, უბრალოდ, ამით სახელმწიფო ბრალდება არ დაინტერესებულა. ჯანჯღავას, დღეის მდგომარეობით, ფილტვების ანთება და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები აქვს, რაზეც საუბრისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. დანაშაულის მოხდენისას ის არ იყო ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, – განაცხადა არჩილ შაბაშვილმა.

რაც შეეხება თამთა ჯანჯღავასთვის შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებას, ადვოკატის თქმით, მისი გასაჩივრების საკითხს ჯანჯღავასთან კონსულტაციის გავლის შემდეგ გადაწყვეტს.

– დანაშაულის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. გასაჩივრების საკითხს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვეტთ, – განაცხადა შაბაშვილმა.

***

– ნათია თოფურია წარდგენილ ბრალს აღიარებს, – ამის შესახებ მისმა ადვოკატმა კახა პაპავამ განაცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, თოფურიამ დანაშაული ბრალის წარდგენისთანავე აღიარა. ადვოკატის თქმით, აქედან გამომდინარე დაცვის მხარისთვის მოულოდნელი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

– ნათია თოფურია ბრალს აღიარებს. სასამართლოს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებაზე ალბათ გავასაჩივრებთ. ის აღიარებს, რომ არ შეატყობინა მომხდარის შესახებ გამოძიებას. დანაშაულის ადგილიდან წავიდნენ და დაახლოებით 24 საათში დააკავეს ერთად, – განაცხადა კახა პაპავამ.

მისივე თქმით, ნათია თოფურია თამთა ჯანჯღავას გაჰყვა, რათა ირაკლი ნოზაძისთვის ვალი გამოერთმიათ.

– ნათია თამთას გაჰყვა უბრალოდ. იცოდა, რომ ვალის დასაბრუნებლად მიდიოდა თამთა და მანამდე ჰქონდათ ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიყენებული ერთმანეთისთვის ჯანჯღავას და ნოზაძეს, – განაცხადა კახა პაპავამ.

# „ხელჩართული ომი იყო... დადუნაშვილს შევესწარი, როგორ ბარბაცებდა“

## ნიკა ვაჩეიშვილი ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას იხსენებს

29 ივნისს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ ნიკოლოზ ვაჩეიშვილი გამოკითხა. ეს უკანასკნელი მოზარდების მკვლელობის ერთ-ერთი თვითმხილველია.

– ხორავას ქუჩაზე, მკვლელობის ადგილზე ოცამდე მოზარდი იქნებოდა, ხელჩართული ომი იყო, – უთხრა მან ჟურნალისტებს სხდომაზე შესვლამდე.

მისი თქმით, თვითმხილველებს ახალგაზრდების დამშვიდება სურდათ, თუმცა ეს შეუძლებელი იყო.

– ძალიან ბევრნი იყვნენ, ვფიქრობ, 20-მდე მაინც. ხელჩართული ომი იყო. ჩვენ, მეზობლებს, რაც შეგვეძლო, გვინდოდა, ეს ბავშვები ატაცებული მდგომარეობიდან გამოგვეყვანა, რაც შეუძლებელი იყო. თითქოს, არაფერი ახსოვდათ, ისეთი ჩხუბი იყო. იქ იყო ხელჩართული, ერთიანი, დიდი, დაუნდობელი შეხლა-შემოხლა. შემდეგ ჩვენი აივნიდან ამ ბავშვების დაშოშმინება დავიწყე, რაც ვერ შევძელი. შემდეგ პოლიციაში რეკვა დავიწყე, რომელიც საკმაოდ გაჭირდა. ისევ რომ გამოვედი, უკვე დადუნაშვილს შევესწარი, როგორ ბარბაცებდა. მერე უკვე სასწრაფოზე გადავერთეთ, რომ ექიმებს მოსვლა შეძლებოდათ. უკვე იქ საცობი იყო, ძალიან ბევრი ხალხი ტრიალებდა, – განაცხადა ვაჩეიშვილმა.

საგამოძიებო კომისიამ მოწმე დიანა ბოლოთაშვილიც გამოკითხა.

მოწმის თქმით, მან უშუალოდ ლევან დადუნაშვილის დაჭრის მომენტი დაინახა.

– კომისიას მივაწოდე ინფორმაცია, რომელიც გამოძიებისთვის მაქვს მიცემული. მე უშუალოდ დავინახე ლევან დადუნაშვილის დაჭრის მომენტი და ზოგადად ჩხუბის შესახებ



მივაწოდე ინფორმაცია. არ შემიძლია, გავიხსენო, ვინ დაჭრა, სახეზე ის არ მახსოვს, მხოლოდ ხელი დავინახე, როდესაც დანას აძრობდა, დარტყმის მომენტი არ დამინახავს. ერთი პირი იდგა მასთან და ეს ხდებოდა არკაში. ფარდულისკენ ვერ ვხედავდი, რა ხდებოდა. ეს იყო, ფაქტობრივად, კულმინაცია ამ ჯგუფის და შემდეგ უკვე ყველა გაიქცა, – აღნიშნა მოწმემ.

***

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, საგამოძიებო კომისიის წევრი, მამუკა მდინარაძე ამბობს, რომ ადამიანური და მორალური თვალსაზრისით ძალიან რთული მოსასმენი იყო მოწმე ნიკოლოზ ვაჩეიშვილისა და მისი მეუღლის, დიანა ბოლოთაშვილის ჩვენებები.

– ისინი ყვებოდნენ დეტალებს, მათ შორის, დაჭრის შემდეგ და მოვლენებს დეტალურად აღწერდნენ. თუმცა ახალი ხელშესახები, რომ გამოძიებას რაიმე მისცეს, ასეთი მათ, სამწუხაროდ, არ უთქვამთ, – თქვა დეპუტატმა.

მდინარაძის განცხადებით, ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე აბსოლუტურად სხვა ტიპის კითხვები ჩნდება, რატომ არ დაიკითხნენ ადამიანები, რომლებიც პოლიციელებმა გამოკითხეს.

– როდესაც ამ საქმეს, შესაძლოა, სავსებით სამართლიანად საზოგადოებრივი პროტესტი მოჰყვა, მაშინ სამი მთავარი კითხვა იყო. ეს სამი კითხვა ფარდულსა და მის დანგრევას, გაღუნულ დანას და სუბელიანის თემას შეეხებოდა. სუბელიანი დღეს დაკავებულია. მეორე დღესვე აღმოჩნდა, რომ დანა გაღუნული არ არის და ამაზე კითხვის ნიშნები პრაქტიკულად აღარ რჩება. ფარდულს რაც შეეხება, მისი აღდგენა სანტიმეტრების სიზუსტით შეიძლება. ვიღაცას ფარდული შეგნებულადაც რომ დაენგრია, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და საქმესთან დაკავშირებით არანაირი გავლენა არ შეიძლება მოახდინოს.

დღეს აბსოლუტურად სხვა ტიპის კითხვები ჩნდება. რატომ არ დაიკითხნენ ის ადამიანები, რომლებიც, მაგალითად, გამოკითხეს პოლიციელებმა და მათთან ოპერატიული მუშაობა ჰქონდათ გაჩაღებული. საქმეში მათი დაკითხვის ოქმები არ არის და მათი დაკითხვა შემდეგ ოფიციალურად ხდება. ამ კითხვებზე პასუხებისთვის შსს-ს თანამდებობის პირები და გამომძიებელი დაბარებული არიან. ამ კითხვებს ამომწურავი პასუხები უნდა გაეცეს და ეს კითხვები ჩვენ აუცილებლად გვექნება, მათ შორის ძალიან კრიტიკული მიმართულებითაც, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# ჭიათურაში მუშა დაიღუპა




ჭიათურაში, სოფელ დარკვეთში ქვიშის კარიერზე 1986 წელს დაბადებული მამაკაცი დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, ქვიშა ჩამოიშალა და ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ტრაქტორზე იჯდა, ადგილზე გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო სამშენებლო, ან სხვა სამუშაოების დროს უსაფრთხოების ნორმების დარღვევას გულისხმობს.

# სოფელ ახაშენში ხანძარს 2 წლის გოგო ემსხვერპლა

2 წლის გოგოს სიცოცხლე ემსხვერპლა სოფელ ახაშენში გაჩენილ ხანძარს. უბედური შემთხვევა გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოხდა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მცირეწლოვანი ორსართულიან საცხოვრებელ სახლში იყო. მაშველებმა მეორე ბავშვის შენობიდან გამოყვანა მოახერხეს.

შემთხვევის ადგილზე ძალოვან უწყებასთან ერთად სახანძრო სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

2018, 30 ივნისი — 1 ივლისი, №153

# მაიკ პომპეო ჩრდილოეთ კორეას ეწვევა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო მომავალ კვირას ჩრდილოეთ კორეას ეწვევა. როგორც ჩანს, პომპეო ამ ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ინდოეთის დელეგაციასთან დაგეგმილი შეხვედრა გააუქმა.

პომპეოს ამოცანა დენუკლეარიზაციის პროცესის შემოწმებაა. ის კიმ ჩენ ინს, აგრეთვე, სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.

# ევროკავშირმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა




ბრიუსელში ევროკავშირის სამიტი შედგა. რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელების თაობაზე დისკუსიები არ ყოფილა. ყველა დაეთანხმა იმას, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას აწარმოებს, სანქციების გაგრძელებასაც ალტერნატივა არ გააჩნია.

რუსეთის მიმართ სანქციები კიდევ ექვსი თვით გააგრძელეს.

სამიტზე განიხილეს 2014 წელს დონბასში ჰოლანდიური ბოინგის კატასტროფის საკითხი. აღინიშნა, რომ კატასტროფაზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება. როგორც ცნობილია, გამოძიებით დამტკიცდა, რომ თვითმფრინავი რუსებმა ჩამოაგდეს. მათ ის შეცდომით უკრაინულ სამხედრო თვითმფრინავად მიიღეს.

— მოვუწოდებთ რუსეთს, ჰოლანდიური ბოინგის ჩამოგდების გამო პასუხისმგებლობა აიღოს, — ითქვა სამიტზე.

# ამერიკულ გაზეთში 5 კაცი მოკლეს



28 ივნისს, მერილენდის შტატის დედაქალაქ ანაპოლისის გაზეთ „ქეპიტალ გაზეტზე" თავდასხმა მოხდა.

გაზეთის თანამშრომელმა ფილ დევისმა „ტვიტერის" პირად გვერდზე დაწერა, რომ დამნაშავე მარტო მოქმედებდა.

„მსროლელმა ჩემს ოფისში უამრავ ადამიანს ესროლა, რომელთაგან ზოგიერთი დაიღუპა. შეიარაღებულმა ადამიანმა ჯერ შუშის კარს ესროლა, ოფისში შემოვიდა და ხალხს ცეცხლი გაუხსნა. იმაზე საშინელი არაფერია, ვიდრე გესმის, როგორ ესვრიან ადამიანებს მაშინ, როდესაც შენი მაგიდის ქვეშ ზიხარ", — დაწერა ფილ დევისმა.

რედაქციაში სროლის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა და 3 დაშავდა. სამართალდამცველებმა დააკავეს თავდამსხმელი, რომელიც 38 წლის ჯეროდ უორენ რამოსი აღმოჩნდა.

მან 2012 წელს გაზეთთან სასამართლო დავა წააგო. რამოსმა გამოცემის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ცილისწამებისთვის, თუმცა მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პოლიციამ მომხდარს „ლოკალური ინციდენტი" უწოდა, ტერაქტი კი გამორიცხა.

# რუსეთის მოქალაქეთა 42% თვლის, რომ ქვეყანა არასწორად ვითარდება




ე.წ. საპენსიო რეფორმის შედეგად რუსეთში უკმაყოფილება გაიზარდა. თანახმად ლევადა-ცენტრის უკანასკნელი კვლევებისა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა 42% მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორად ვითარდება.

საპენსიო რეფორმა და გაჭიანურებული ლოკალური ომები (სირია, უკრაინა) პუტინის რეიტინგის ვარდნის უმთავრესი მიზეზებია. ევრაზიული კავშირის შექმნის დაწყებამ, ყირიმის ანექსიამ, დონბასში ჯარების შეყვანამ პუტინის პოპულარობა გაზარდა. დონბასში გაჭიანურებული ომისა და სირიაში მიმდინარე პროცესების შედეგად პუტინის პოპულარობის მაჩვენებელი 2013 წლის მაჩვენებელს, ანუ ყირიმის ანექსიამდელ პერიოდს დაუბრუნდა.

რუსეთის მოქალაქეთა 65% თვლის, რომ გამართლებულია ძალის გამოყენება ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც ევრაზიულ კავშირში შესვლაზე უარს აცხადებენ, ან ნატოში გაწევრიანებას ცდილობენ. რუსეთის მოქალაქეთა 70% მიიჩნევს, რომ პუტინი როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს მიმართ ზედმეტად ლოიალურია. მათი აზრით, ცხინვალის ომის დროს პუტინს თბილისი უნდა აეღო, უკრაინული არმიის მიერ დონბასის ქალაქების ბომბარდირების პასუხად კი კიევი, ლვოვი, როვნო და უკრაინის სხვა ქალაქები მიწასთან გაესწორებინა.

შეკითხვაზე, ვინ მიგაჩნიათ რუსეთის ყველაზე დიდ მოღვაწედ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა 60%-მა სტალინი დაასახელა. შემდეგ მოდიან პეტრე პირველი, ლენინი, ეკატერინე მეორე, მარშალი ჟუკოვი. პუტინი მეექვსე ადგილს დასჯერდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

ჩვენს საყვარელ
**ოთარ ნინიაშვილს**
ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ ცხოვრებას ოჯახთან ერთად, ჯანმრთელობას, ყოველგვარ სიკეთეს, წარმატებებსა და უფლის წყალობას!
*სიყვარულით, „ახალი თაობის" რედაქცია*





**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**
მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.
**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**
მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.
**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.
მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განაწყენებულმა მზარეულმა ნათესავებს სასიკვდილო სადილი მოუწყო



ინდოელი ქალი მას შემდეგ დააპატიმრეს, როდესაც ნათესავების დაცინვით განაწყენებულმა მათ მოწამლული საჭმელი დაუმზადა.

23 წლის პრადნიუ სურვეიზი ინდოეთის ქალაქ ხალაპურში რამდენიმე დღის წინ დააკავეს. მის მიერ მოწყობილი სადილის შედეგად მისი ხუთი ნათესავი დაიღუპა.

გოგონამ აღიარა, რომ ზოგიერთ კერძში ჩაურია ფხვნილი, რომელსაც ჩვეულებრივ გველების დასახოცად იყენებენ. პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ის მეუღლის და ოჯახის სამი წევრის მოკვლას აპირებდა, რომლებიც ორი წლის განმავლობაში კულინარიაში მის განსწავლულობას მასხრად იგდებდნენ.

წვეულება გოგონას ნათესავმა სუზას მეინმა მოაწყო. ღონისძიებას 120 სტუმარი დაესწრო, რომელთა შორის სურვეიზის ნათესავებიც იყვნენ. რამდენიმე საათის შემდეგ რამდენიმე სტუმარმა დაიჩივლა, რომ სუნთქვა ეკვროდათ, გული ერეოდათ და მუცლის არეში ტკივილს გრძნობდნენ. შედეგად 88 ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ხუთ დაღუპულს შორის სამი ბავშვი აღმოჩნდა.

გოგონამ ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ აღიარა, რომ მკვლელობა წინასწარგანზრახვით ჩაიდინა.



# განცხადებები

**სხვადასხვა**

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# 20 წლამდე ნაკრები — მომავლის იმედი

საქართველოს ეროვნული ნაკრების გარდა, ჩვენი ყურადღება 20-წლამდელთა ნაკრებისკენაც არის მიმართული. ეს არის გუნდი, რომელიც მომავალს ქმნის. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში, მაგრამ გვაქვს იმედი, და არცთუ უსაფუძვლო, რომ ა დივიზიონში ავინაცვლებთ.

ამ მიზნის მისაღწევად საკმაოდ დიდი ბრძოლის გადატანაა საჭირო, თუმცა შემდგენლობის გათვალისწინებით, რომელმაც თავი ამ ასაკობრივ ნაკრებში მოიყარა, სწორედ ელიტაში გადასვლის ამბიციაა წინა პლანზე გამოსატანი.



საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები არ არიან ელიტაში თამაშით განებივრებულნი. შარშან ზაფხულში 16-წლამდელებმა გაგვახარეს, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონიდან ელიტაში აინაცვლეს. ასეთი შემთხვევა ყველა ასაკობრივი (16, 18, 20) ნაკრების ჭრილში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რამდენჯერმე დაფიქსირებულა.

2018 წლის საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში მარჯვე და უკვე საკმაოდ გამოცდილმა ბიჭებმა მოიყარეს თავი. მთავარი მწვრთნელის, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის მიერ შერჩეულ გაფართოებულ შემადგენლობაში, დაბალანსებული ბიჭები არიან. ისედაც კონკურენტუნარიანი შემადგენლობა კიდევ უფრო გააძლიერა სანდრო მამუკელაშვილმა, რომელსაც, ამერიკის მოქალაქეობის გამო, აქამდე არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია. ახლახან საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ძალისხმევით, სანდრომ საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ნაკრებებისკენ გზა გაეხსნა. დღესდღეობით მამუკელაშვილი ეროვნულ ნაკრებშია და 2 ივლისს, ავსტრიასთან მატჩის შემდეგ გათავისუფლდება, რის შემდეგაც 20-წლამდელებს შეუერთდება და ლატვიაში, ევროპის ჩემპიონატისწინა შეკრებაზე გაჰყვება.

მამუკელაშვილთან ერთად ეროვნული გუნდიდან 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში არიან უკანახაზელი ლუკა ბულაშვილი და ცენტრი გოგა ბითაძე, რომლებიც წლებია, საზღვარგარეთ თამაშობენ და ნაკრების ლიდერებად ითვლებიან. ბულაშვილმა გასულ აპრილს 20-წლამდელთა ნაკრებში ითამაშა და გუნდს ევროპის ახალგაზრდული ლიგის მოგებაში დიდად დაეხმარა. ბითაძეს რაც შეეხება, ის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოთამაშეა თავის ტოლებში და მომავალი წლის ნბა-ს დრაფტზე, სავარაუდოდ, პირველ წრეში აირჩევენ.

ლეგიონერთა თემა რომ ამოვწუროთ, დავასახელებთ იტალიაში 3 წლის წინ გადაბარგებულ ლევან ბაბილოძეს და ამერიკის სტუდენტურ და სასკოლო ლიგებში მოასპარეზე ნიკა ჩეჩელაშვილსა და ლადო ფურცხვანიძეს. ზემოთ ნახსენებ ლეგიონერებს დავამატოთ თსუ-ჰიუნდაის ბირთვი – გიორგი კორსანტია, დავით აფხაზავა, ალექსანდრე ფევაძე, გიორგი ცირიკიძე, ლევან ლოლიშვილი და გიორგი ჯაფარიძე, რომლებიც აღნიშნული კლუბის გარდა ევროპის ლიგაში საქართველოს ნაკრების სახელით მთელი სეზონი თამაშობდნენ და მოედანზე ერთმანეთს თვალდახუჭულები უგებენ.

იგივე ითქმის ზაზას აკადემიის 4 წარმომადგენელზე – ლადო ალავიძეზე, ნიკა მეცხვარიშვილზე, ვახტანგ გაფრინდაშვილსა და ლუკა კალატოზიშვილზე. ეს ბიჭები საქართველოს 19-წლამდელთა ჩემპიონატის დომინანტ ზაზა 1-ში ასპარეზობდნენ და ამ გუნდის ლიდერებად ითვლებიან. 20-წლამდელთა ნაკრების საკვანძო მოთამაშე იქნება ეროვნული ნაკრების წევრი კლუბ ოლიმპიდან – ნიკოლოზ დარბაიძე, რომელიც ამ თაობას ბავშვობიდან მოჰყვება და ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს სოლიდურ დონეზე ნათამაშები.

დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი ამ ბიჭებს ბავშვობიდან იცნობს და მოედანსა თუ მის გარეთ მათი შესაძლებლობების გამოყენება მაქსიმალურად შეუძლია. ჩერქეზიშვილის შტაბში დიდ სამუშაოს ასრულებენ ხორვატი სპეციალისტი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ტიჰომირ ბუჯანი და ახალგაზრდა, თუმცა საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი დიმიტრი ჯაკობოვი.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 4 ივლისს ლატვიაში გაემგზავრება, სადაც ამ ქვეყნის ნაკრებთან 2, ხოლო ესტონეთთან – 1 სპარინგ-მატჩს გამართავს და პირდაპირ ბულგარეთში გადავა, სადაც ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მატჩები გაიმართება.

ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან ფინეთი, პოლონეთი, კოსოვო და პორტუგალია. პლეი ოფში ჯგუფის 2 საუკეთესო ნაკრები გავა და გააგრძელებს ა დივიზიონში გადასასვლელ სამეულში მოსახვედრად ბრძოლას.

საქართველოს 20 წლამდე ნაკრების გაფართოებული სია ასეთია:

უკანა ხაზი: დავით აფხაზავა, გიორგი ჯაფარიძე (ორივე თსუ ჰიუნდაი), ლუკა ბულაშვილი (გრან კანარია, ესპანეთი), ლევან ბაბილოძე (სან სერვო, იტალია), ნიკა ჩეჩელაშვილი (სეინთ ასტოლი, აშშ), ვლადიმერ ალავიძე (ზაზას აკადემია);

ფორვარდები: გიორგი ცირეკიძე, ალექსანდრე ფევაძე, ლევან ლოლიშვილი (ყველა თსუ ჰიუნდაი), ნიკა მეცხვარიშვილი, ვახტანგ გაფრინდაშვილი (ორივე ზაზას აკადემია), ნიკა დარბაიძე (ოლიმპი), სანდრო მამუკელაშვილი (სეტონ ჰოლი, აშშ);

ცენტრები: გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი), ლადო ფურცხვანძე (უესთ ოუკსი, აშშ), გიორგი კორსანტია (თსუ ჰიუნდაი), ლუკა კალატოზიშვილი (ზაზას აკადემია).

# კანი და მათეუსი პრობლემებზე ალაპარაკდნენ, ლიოვი — ცვლილებებზე

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ეროვნული ნაკრების ცოცხალმა ლეგენდამ, ოლივერ კანმა, ბრიტანულ მედიასთან საუბრისას ეროვნული გუნდის პრობლემები დაასახელა.

**ოლივერ კანი:**

– ჩემთვის მთავარი იმედგაცრუებები მესუთ იოზილი და სამი ხედირა იყვნენ. პირველ მატჩში ისინი საერთოდ არ ჩანდნენ, მეორე თამაშში კი სათადარიგო სკამზე დარჩნენ. ოთხშაბათს მათ კვლავ მისცეს შანსი, მაგრამ ვერც ერთმა გამოიყენა. ხედირა და იოზილი ჩვენი ყველაზე გამოცდილი მოთამაშეები არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან ბევრ ასპექტში ჩავარდნენ და სრული კრახი განიცადეს. ფეხბურთის ფედერაციას წინ ბევრი სამუშაო აქვს. უნდა ჩამოყალიბდეს აზრი თუ რომელ მოთამაშეებზე გაკეთდეს აქცენტი სამომავლოდ. შესაძლოა, ეს წარუმატებლობა გასულ სეზონში ბუნდესლიგის დონის მკვეთრად დაცემასაც უკავშირდება.



შეგახსენებთ, რომ „ბუნდესნაკრებმა“ რუსეთის მუნდიალზე კრახი განიცადა – ჯგუფში სამიდან ორი მარცხი, ბოლო ადგილი დაიკავა და ისტორიაში პირველად ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია.

გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, იოახიმ ლიოვმა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა.

**იოაჰიმ ლიოვი:**

– მსგავსი სიტუაცია ერთხელ უკვე გვქონდა – 2004 წელს გუნდი ევროპის ჩემპიონატიდან უკვე ჯგუფურ ეტაპზე გამოვარდა. ამის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში დიდი ცვლილებები მოხდა და 14 წლის განმავლობაში მხოლოდ პროგრესი შეინიშნებოდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში გერმანია პლანეტის ყველაზე სტაბილური გუნდი იყო და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. თუმცა ახლა, გამოვარდნისა და უდიდესი იმედგაცრუების შემდეგ, მომხდარზე რეაგირება უნდა მოვახდინოთ და სწორი ნაბიჯები გადავდგათ. ჩვენ ცვლილებები, სერიოზული ცვლილებები, აუცილებლად გვჭირდება. ეს ყველაფერი ჩვენ დეტალურად უნდა განვიხილოთ. ახლა ჩავარდნის მიზეზებზე საუბარი ძალიან ადრეა. რა თქმა უნდა, ეს საკითხები უკვე განვიხილეთ, მაგრამ არ არსებობს არც ერთი გამოკვეთილი მიზეზი, რამაც ეს წარუმატებლობა გამოიწვია. მიზეზი რამდენიმეა და ეს ყველაფერი კარგად უნდა გავაანალიზო. ჩემი ამოცანა იყო, რომ ეროვნულ გუნდს ამ 4 კვირის განმავლობაში ხარისხიანი ფეხბურთი ეთამაშა, მაგრამ ეს არ გამოგვივიდა. ახლა გარკვეული დრო გვჭირდება, რათა ამაზე ვისაუბროთ და შემდეგ პასუხებიც იქნება.

„ბუნდესნაკრების“ ჯგუფში ჩარჩენაზე ისაუბრა გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა და ნახევარმცველმა, ლეგენდარულმა ლოთარ მათეუსმაც:

– გერმანიის ნაკრები ფლეი-ოფის გარეშე დამსახურებულად დარჩა. გუნდს არ ჰქონდა თამაში, რომელიც ჯგუფიდან გასვლისთვის იყო საჭირო. ოთხი წლის წინ ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მას შემდეგ გერმანიამ თავისი თამაში სრულიად დაკარგა და აი შედეგიც. ყველა შეცდა: მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც. ბევრმა თავისი დონის შეუფერებლად ითამაშა და გუნდური სულისკვეთება არ იგრძნობოდა...

ტურნირის ფავორიტად ბრაზილიას მივიჩნევ. მათ კარგი მოთამაშეები ჰყავთ და 4 წლის განმავლობაში სამწვრთნელო შტაბმა უდიდესი სამუშაო შეასრულა. ისინი ძალიან სწრაფები და დისციპლინირებულები არიან. მათ თამაშში მსოფლიო ჩემპიონობის პოტენციალს ვხედავ...

მესი? მას ამჯერად უფრო გაუჭირდება, ვიდრე ჩვეულებისამებრ არის ხოლმე. ბარსელონაში მას სხვა პარტნიორები ჰყავს, რომლებთანაც კარგად არის შეთამაშებული. ეროვნულ ნაკრებში კი ხშირად დამოუკიდებლად უწევს მოქმედება.

# საბურთალო არ ჩერდება

**საბურთალო-ჩიხურა 1:0**

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ვოლკოვი (84)

**საბურთალო**: კუპატაძე, გრიგალაშვილი, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი (ჩაბრაძე 52), ელვინ ტერა, დიასამიძე, ალთუნაშვილი (გორგიაშვილი 62), კოხრეიძე, ვოლკოვი, გოშთელიანი (ტატანაშვილი 70)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი (მწყერაშვილი 60), ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მაისაშვილი, გაბედავა, ლექვთაძე (ჩიხლაძე 63), კახაბრიშვილი, ბუღრიძე, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, დობროვოლსკი (დობროვოლსკი 85)

საბურთალომ მორიგი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად საჩხერის ჩიხურასთან. მეტოქესთან, რომელთანაც 2015 წლის 22 აგვისტოს შემდეგ ვერ მოეგო. 3 წლის წინ, როდესაც ჩიხურა დაამარცხა, მაშინაც 1:0 იმარჯვა, იმ შეხვედრაშიც გოლი 84-ე წუთზე გავიდა.

ზოგადად, საბურთალოსთვის ჩიხურა უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. თავად განსაჯეთ – 8 თამაშიდან თბილისელებმა მხოლოდ ორჯერ მოიგეს, 5 შემთხვევაში დამარცხდნენ და ერთხელაც მატჩი ფრედ დასრულდა.

რაც შეეხება ბოლო დაპირისპირებას, მატჩის დიდი ნაწილი დაბალ ტემპში წარიმართა, მეტოქეებს თითზე ჩამოსათვლელად შეექმნათ ხელსაყრელი მომენტები. ბურთს ძირითადად საბურთალოელები ფლობდნენ, საჩხერლები კი კონტრშეტევებზე ცდილობდნენ ფონს გასვლას.

გამარჯვების მომტანი გოლი დავით ვოლკოვმა თავური დარტყმით გაიტანა, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან გიორგი კოხრეიძისგან გამოზომილი პასი მიიღო. ანალოგიური გოლები შარშანდელ სეზონში საბურთალომ რამდენჯერმე გაიტანა, თუმცა გასულ წელს საგოლე გადაცემის ავტორი ხშირ შემთხვევაში ლაშა შინდაგორიძე იყო.

ამ მოგების შემდეგ, თბილისელებმა 40 ქულა დააგროვეს და უშუალო კონკურენტებს არ მისცეს მიახლოების საშუალება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 17 | 13 | 1 | 3 | 32-13 | 40 |
| 2.დილა | 17 | 9 | 7 | 1 | 36-19 | 34 |
| 3.დინამო | 16 | 10 | 2 | 4 | 27-14 | 32 |
| 4.ჩიხურა | 17 | 8 | 4 | 5 | 24-16 | 28 |
| 5.ტორპედო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-17 | 21 |
| 6.ლოკომოტივი | 17 | 5 | 3 | 9 | 19-29 | 18 |
| 7.რუსთავი | 16 | 4 | 5 | 7 | 15-21 | 17 |
| 8.კოლხეთი | 16 | 3 | 5 | 8 | 16-34 | 14 |
| 9.სიონი | 16 | 3 | 4 | 9 | 14-27 | 13 |
| 10.სამტრედია | 16 | 1 | 6 | 9 | 9-23 | 9 |

# ბელგიამ ინგლისს 82 წლის შემდეგ მოუგო

**ინგლისი-ბელგია 0:1**

კალინინგრადი. კალინინგრად არენა

0:1 იანუზაი (52)

**ინგლისი:** პიკფორდი, როუზი, სტოუნსი (მაკგუიარი 46), კეჰილი, ალექსანდერ-არნოლდი (უელბეკი 78), დელფი, ჯოუნსი, ლოფტუს-ჩიკი, დაიერი, რეშფორდი, ვარდი

**ბელგია:** კურტუა, ვერმალენი (კომპანი 75), ბოიატა, დენდონკერი, ფელაინი, ტ. აზარი, ტილემანსი, დემბელე, შადლი, იანუზაი (მერტენსი 86), ბატშუაი

ორივე გუნდმა საწყისი მატჩები კარგად ჩაატარა და ტურნირის ფავორიტთა სიაშიც შევიდნენ. თუმცა, ამ შეხვედრის წინაც იგრძნობოდა, რომ ერთმანეთთან საქმის სერიოზულ „გარჩევას“ არ აპირებდნენ. ორივე გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლა განაღდებული ჰქონდა, სავარაუდო მეტოქეები იცოდნენ – კოლუმბია, ან იაპონია. ასე რომ, ორივე გუნდის მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობები დაასვენა.

პირველი ტაიმი შედარებით მშვიდ და წყნარ ტემპში ჩატარდა, მეორეში კი, ბელგიელებმა მოუმატეს და ძალიან ლამაზი გოლიც გაიტანეს. ჩამორჩენილმა ინგლისმა ვერ მოახერხა თავისი თამაშის პოვნა და მატჩის შემობრუნება, რის შედეგად ჯგუფში მეორე ადგილზე დარჩა. თუმცა, ბადე უკეთესი აქვს, ვიდრე ბელგიელებს.

ჰო, ბელგიამ ინგლისს ბოლოს 82 წლის წინ მოუგო...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მარუან ფელაინი

ძალიან ძლიერი მატჩი ჩაატარა მარუანმა. ბევრი იბრძოლა, ბევრი მოიგო. ცენტრში დომინირებდა, ამწვავებდა თამაშს. მოკლედ, ყველაფერს ასწრებდა.

**პანამა-ტუნისი 1:2**

სარანსკი. მორდოვია არენა

0:1 მერიაჰი (33სკ), 1:1 ბენ იუსეფი (51), 1:2 ჰაზრი (66)

**პანამა:** პენედო, ესკობარი, რ. ტორესი (გუმინგსი 46), მაჩადო, ოვალიე, ავილა (აროიო 81), გოდოი, როდრიგესი, ბარსენასი, გომესი, გ. ტორესი (ტეხადა 56)

**ტუნისი:** მათლუთი, მერიაჰი, ჰადადი, ბედოუი, ნაგუესი, სასი (ბადრი 46), სხირი, ბენ იუსუფი,ჰაზრი, ჩაალელი, სლიტი (ჰალილი 77)

ჯგუფის აუტსაიდერებმა ერთმანეთში ითამაშეს და მოიგო იმ გუნდმა, რომელიც უფრო ძლიერი იყო. ერთია, დასაკარგი არაფერი ჰქონდა და ღია, ავანტიურული ფეხბურთი ითამაშეს, რაც ურიგო სანახავი არ გამოდგა. გუნდებს რამდენიმე შანსი ჰქონდათ გასატანად. უფრო მეტი ტუნისმა გამოიყენა და 40 წლის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა მუნდიალზე.

პირველი ტაიმი პანამამ მოიგო და დებიუტანტებს იმედი ჰქონდათ, რომ მინიმუმ ქულას მაინც ჩაიწერდნენ აქტივში, მაგრამ ანგარიში ვერ შეინარჩუნეს და საერთოდ დამარცხდნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვაჰბი ხაზრი

ტუნისმა მოახერხა თამაშში გარდატეხა შეეტანა, რაშიც დიდი როლი ჰაზრიმ ითამაშა. ჯერ ბენ იუსუფს გაატანინა, შემდეგ თავადაც გაიტანა. მომენტი პირველ ტაიმშიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. საერთოდაც, ჰაზრი პირველი ტუნისელი ფეხბურთელია, რომელმაც ერთ მუნდიალზე ორი გოლის გატანა მოახერხა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| 2.ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| 3.ტუნისი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| 4.პანამა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ფრანგი ხორცით მოვაჭრეები აგრესიული ვეგანებისგან დაცვას ითხოვენ




ხორცით მოვაჭრეთა საფრანგეთის ფედერაციამ ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, მათი მაღაზიები აგრესიულად განწყობილი ვეგეტარიანელებისგან დაიცვას.

ფედერაციის ხელმძღვანელმა ჟან-ფრანსუა გიარდმა განაცხადა, რომ თავდასხმები მათ მაღაზიებზე ტერორიზმის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

– ამ საშინელებას, რომლის დათესვასაც ცდილობენ, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: საფრანგეთის კულტურის ერთი უდიდესი ნაწილი გაქრეს. ვეგანები ესწრაფვიან, ადამიანების უმრავლესობას თავს მოახვიონ ცხოვრების საკუთარი იდეოლოგია, – განაცხადა მან.

ფრანგმა ხორცით მოვაჭრეებმა დაიჩივლეს, რომ ვეგანების თავდასხმების გამო ტრადიციული სამზარეულო, რომელშიც უამრავი ხორცის კერძი შედის, საფრთხის ქვეშაა. მათი თქმით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში აგრესიულად განწყობილმა ვეგეტარიანელებმა ხელოვნური სისხლით მოსვარეს დაახლოებით 15 მაღაზია, ასევე ქვებით ჩაამსხვრიეს ვიტრინები ან წარწერების გაკვრით, რომელიც ხორცზე უარის თქმისკენ მოუწოდებდა, დააზიანეს ისინი.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წელს ვეგეტარიანელად თავს საფრანგეთის მოსახლეობის მხოლოდ სამი პროცენტი მიიჩნევდა.

# პენსიონერმა მათეთრებლის აბი გადაყლაპა და კინაღამ დაიღუპა

65 წლის შვეიცარიელი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მას შემდეგ აღმოჩნდა, როდესაც შემთხვევით მათეთრებლის აბები გადაეყლაპა.

მამაკაცი ტკივილგამაყუჩებლის მიღებას აპირებდა, მაგრამ უნებურად საყოფაცხოვრებო ქიმიაში აერია. მან იმწამსვე იგრძნო წვა პირის არეში, აბი მაშინვე გადმოაფურთხა და საავადმყოფოს მიაშურა.

ექიმები თავიდან ვერ მიხვდნენ, თუ როგორ ემკურნალათ პენსიონერისთვის: მათ მხოლოდ შეწითლება დააფიქსირეს, მისცეს ტკივილგამაყუჩებელი და ექვსი საათის განმავლობაში აკვირდებოდნენ.

გარკვეული დროის შემდეგ შვეიცარიელს სულისხუთვა დაეწყო და ყელის არეში აუტანელი ტკივილების გამო დაიჩივლა. გარდა ამისა, მან დაკარგა ხმა, ხოლო ყელმა ლპობა დაიწყო. ექიმებმა პენსიონერს ყელში სპეციალური მილი ჩაუდგეს, რათა სუნთქვა და საკვების მიღება მოეხერხებინა. მომდევნო ორი კვირა მამაკაცმა რეანიმაციაში გაატარა და განაცხადა, რომ ეს დრო თითქმის არ ახსოვდა.



# ტოპ-მენეჯერმა ფირმის ფული მიითვისა და კნუტები იყიდა



დიდ ბრიტანეთში სამშენებლო ფირმის ფინანსურმა დირექტორმა დაახლოებით 370 ათასი ფუნტი სტერლინგი საკუთარი სარგებლობისთვის მიითვისა. კერძოდ, მოპარული თანხით მამაკაცმა ჯიშიანი კატის კნუტები შეიძინა.

ინგლისის ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ ჩორლის მცხოვრებმა მეთიუ ფერიმონდმა თაღლითობის 12 ეპიზოდში თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლოს მონაცემებით, ფულადი სახსრები საქველმოქმედო ორგანიზაციების ანგარიშებზე უნდა გადარიცხულიყო. გარდა ამისა ტოპ-მენეჯერი ფულის გათეთრებითაც იყო დაკავებული.

ბრიტანელი ექვმიტანილი მას შემდეგ გახდა, როდესაც ქველმოქმედებაზე დაუგეგმავი დანახარჯების ორი ქვითარი იქნა აღმოჩენილი. ბრალდების მხარემ ფერიმონდს „კომპანიის ყველაზე სახიფათო საფრთხე" უწოდა, ვინაიდან იმ დროს, როდესაც თანამშრომლები გაჭირვებით გამოიმუშავებენ ფულს, თაღლითი თავს ქველმოქმედად ასაღებდა.

სასამართლომ ფერიმონდს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# ორი გოგონა ალიგატორს ქუჩაზე გადასვლაში დაეხმარა



აშშ-ში ორმა გოგონამ პატარა ალიგატორი ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადაიყვანა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ამერიკულმა ახალი ამბების პორტალმა გამოაქვეყნა.

აღნიშნული შემთხვევა ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოში მოხდა. ტელეფონით გადაღებული ვიდეოს ავტორმა კეტრინ კერმა განაცხადა, რომ ორმა გოგონამ შენიშნა თუ როგორ ცდილობდა რეპტილია ქუჩის მეორე მხარეს გადასვლას, მაგრამ მანქანების გაცხოველებული მოძრაობის გამო ამას ვერ ახერხებდა.

გოგონებმა მანქანა შუქნიშანთან გააჩერეს, იქიდან გადმოვიდნენ და ალიგატორს გზაზე გადასვლაში დაეხმარნენ. ისინი მას მანქანებისგან იცავდნენ, შემდეგ კი მანქანაში ჩასხდნენ და გზა გააგრძელეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სასეირნოდ წასული კატა სახლში ათი წლის შემდეგ დაბრუნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აღარ დაბრუნებულა, როდესაც მას თავისთან პატრონმა უხმო. მისი პატრონი, 39 წლის მარკ სელისბარი, ფიქრობდა, რომ ის მას უკვე ველარასოდეს ნახავდა, თუმცა, ამის მიუხედავად, მუდმივად აახლებდა ინფორმაციას საკუთარ თავზე ვეტერინარულ საავადმყოფოში, რათა კატის ნახვის შემთხვევაში მას დაჰკავშირებოდნენ.

ათის წლის შემდეგ გარი საფოლკის საგრაფოს ქალაქ იფსვიჩის ცხოველთა თავშესაფარში აღმოაჩინეს, რომელიც ქალაქ გრეიტ იარტმუტიდან 80 კილომეტრში მდებარეობს. იქ მარკ სელისბარმა გაარკვია, რომ ამ წლების განმავლობაში მისი საყვარელი ცხოველი კი არ მაწანწალობდა, არამედ ის ვიღაც მოხუცმა შეიფარა და რომელიც ახლახან გარდაიცვალა. მისმა მეზობელმა უპატრონოდ დარჩენილი კატა ცხოველთა თავშესაფარში მიიყვანა. დაწესებულების თანამშრომლებმა კი მისთვის ჩანერგილი ჩიპის დახმარებით მისი თავდაპირველი პატრონი დაადგინეს და დაუბრუნეს.

# ასტროპროგნოზი



## 30 ივნისისათვის

**ვერძი** – ნებისმიერი კონტაქტისათვის ერთობ კეთილისმყოფელი დღეა. იზრდება შრომისუნარიანობა. **კურო** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა, რაც საშუალებას მოგცემთ, ჩანაფიქრი სისრულეში მარტივად მოიყვანოთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით კატეგორიული და თავშეუკავებელი. მკვახე გამონათქვამებს ერიდეთ. **კირჩხიბი** – ემოციურობა, გაუწონასწორებულობა, მოუთმენლობა დაგაზარალებთ. დღეს შეგიძლიათ თავს დასვენებისა და განტვირთვის უფლება მისცეთ. **ლომი** – თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ, მოგებული დარჩებით. ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება არ ღირს. **ქალწული** – მეტი პასუხისმგებლობა, ნაკლები ლაპარაკი დღის დევიზია. საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **სასწორი** – შემოქმედებითი პოტენციალი მაღალია, ოღონდ ველოსიპედის გამოგონებას ნუ შეეცდებით. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. უამრავი საქმე გაქვთ. ნუ დაწვრილმანდებით. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კამათს, საქმის გარჩევებს. გემატებათ ენერგია და სასიცოცხლო პოტენციალი. **თხის რქა** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში გაუგებრობაა მოსალოდნელი. ემოციებს ნუ აჰყვებით. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა. სულიერ სიმშვიდეს გრძნობთ. იდეებს მარტივად ახორციელებთ. **თევზები** – მოახდინეთ შინაგანი ძალების კონცენტრაცია. ნუ მოდუნდებით და მეორეხარისხოვან პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

## 1 ივლისისათვის

**ვერძი** – ახლობლებთან უთანხმოება ნერვებს გიშლით. არასასიამოვნო და კონფლიქტურ ადამიანებს ერიდეთ. **კურო** – ნუ გარისკავთ. არც საყიდლებზე წასვლაა რეკომენდებული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ცდუნებებით აღსავსე დღეა. პროვოკაციას ნუ წამოეგებით. იფრთხილეთ. **კირჩხიბი** – აქტიურობა მინიმუმამდე დაიყვანეთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **ლომი** – ნუ გაგიტაცებთ პროექტები, რომლებიც დიდ ხარჯს მოითხოვს. მოსალოდნელია ფინანსური ზარალი. **ქალწული** – თავი შეიკავეთ არასაჭირო კონტაქტებისაგან. მეტი თავმდაბლობა და სულგრძელობა მოგეთხოვებათ. **სასწორი** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად არაკეთილისმყოფელი დღეა. კარგი იქნება მცირე ხნით ქალაქგარეთ გასვლა. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არასტაბილურია. დაისვენეთ მყუდრო გარემოში საყვარელ ადამიანებთან ერთად. **მშვილდოსანი** – ნუ იკამათებთ, მხოლოდ მსუბუქი საქმე აკეთეთ ან სპორტით დაკავდით. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საყიდლებზე წასასვლელად ეს დღე შეუფერებელია. **მერწყული** – პირად ცხოვრებაში სასიხარულო ცვლილებები ხდება. კეთილისმყოფელი, მშვიდი დღეა. **თევზები** – მეგობრული და ნათესაური კავშირები მალე აღდგება. ემოციების გამოვლენა არასასურველია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, „ღირსების ორდენის" კავალერს, საქართველოს ბიზნესაკადემიის აკადემიკოსს

**ნოდარ ჩიბალაშვილს**

გილოცავთ დაბადებიდან 90 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას.

უახლოესი მეგობრები: ლამარა მასხარაშვილი, იამზე ფანცხავა, ნოდარ მეძმარიაშვილი, თამაზ შარაბიძე, გუგა ჭოხონელიძე

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. მე-19 საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 7. ფარისებრი ჯირკვლის ანთება; 9. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 12. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი უძველესი ქართული ჯიში; 14. მიწისძვრისგან დანგრეული უძველესი ქალაქი ნეაპოლის მახლობლად; 15. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 17. მდინარე ახალციხეში; 20. რადიაქტიურობის საზომი ერთეული.

**თარაზულად:** 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი შინაარსი; 6. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. „დედინაცვლის ენად" წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 10. სამახსოვრო საჩუქარი; 11. საგანგებოდ, განსაკუთრებული წესით დამუშავებული ტყავი, იხმარებოდა ძველად საწერ მასალად; 13. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 16. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 18. კოვბოების შეჯიბრი; 19. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 21. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 22. ფოლადის კარკასი რკინაბეტონის კონსტრუქციაში; 23. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ეფრემვერდი; 2. ინკები; 3. ჰურიები; 4. თლაშო; 5. პიტიუნტი; 6. მურეი; 7. კანტონი; 9. სინხუა; 13. დიჯეი; 17. სუში; 18. სნო.

**თარაზულად:** 1. ეპარქია; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10. ჩერჩილი; 11. ამანი; 12. კორპუსი; 14. ბელუჩი; 15. ქსილიტი; 16. ტესტი; 19. იბერია; 20. ვიოლინო; 21. რწყილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პოტენცია; 2. ჰერში; 3. სტიუარდი; 4. ფიშერი; 7. ფლუსი; 9. ამატი; 12. არითმეტიკა; 14. ჯორჯია; 15. კაბალიე; 17. რაფსოდი; 20. გუაში.

**თარაზულად:** 5. ფოლკნერი; 6. კატრანი; 8. კაშხალი; 10. ვესტერნი; 11. აილამა; 13. ფაიზერი; 16. ჩიკანოსი; 18. პალმა; 19. უბისა; 21. ტუნისი; 22. კინტრიში; 23. ბოტდეკი.

# მანანა აბრამიშვილი: „გავგიჟდი უკვე ამ უსამართლო ქვეყანაში!“



– რაღაცა მაინც გააკეთეთ ხალხის სასარგებლოდ! – ასე მიმართავს რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი საქართველოს ხელისუფლებას და გაჭირვებული ხალხის მდგომარეობის შემსუბუქებისკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ურჩევს:

– რომ გამოვიდა ფინანსთა მინისტრი ბახტაძე და დიდის ამბით მოგვახსენა, ბანკების, ლომბარდებისა და მიკროსაფინანსო დაწესებულებების პროცენტები განახევრდებაო, სადააააა?! ახლა პრემიერ-მინისტრი გახდა და არ კიდია აწი ბანკების და ხალხის პროცენტები?! დროზე მიიღეთ ეგ კანონი თუ იღებთ და შეახეთ ძველ სესხებსაც, თორემ ახალი სესხები ვის აინტერესებს! ახალი სესხის აღების რესურსი ისედაც აღარ აქვს ხალხს! რაღაცა მაინც გააკეთეთ ხალხის სასარგებლოდ! რაღაცა!

... ახლა უარესად რომ გაბერეთ ყველაფრის ფასი! ახლა გამოდით და გაგვეცით პასუხი! ხმები რომ მიგეღოთ, ხომ დადიოდით კარდაკარ და ხალხს კარგ ცხოვრებას პირდებოდით?! სადაა?! სად?! ჯოჯოხეთად რომ გვიქციეთ ქვეყანა! საარსებო ხელფასებიც კი არ დაგვიტოვეთ! გვიმცირებთ და გვიმცირებთ ხელფასებს იმ დროს, როცა თან ყველაფერს აძვირებთ. როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ, როგორ, როგორ! გავგიჟდი უკვე ამ უსამართლო ქვეყანაში!

# გორის ციხეზე ხანძარი გაჩნდა



გორის ციხეზე ხანძარი გაჩნდა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, ცეცხლი ხმელ ბალახს მოედო.

ადგილზე 2 სახანძრო ბრიგადა მუშაობდა. მათ ხანძრის ჩაქრობა და გართულებების თავიდან აცილება შეძლეს.

# მევიოლინე ვატო მაღრაძის დასახმარებლად მთაწმინდის პარკში არტ-ფესტივალი ჩატარდება



საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე ვატო მაღრაძეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. 26 წლის მუსიკოსს ლეიკემია დაუდგინეს. მისი მკურნალობისთვის სოლიდური თანხაა საჭირო, რომლის შესაგროვებლადაც ხელოვანები სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს ატარებენ.

30 ივნისს მთაწმინდის პარკში არტ-ფესტივალი ჩატარდება. გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მხატვრები. გაყიდული ნახატებიდან შემოსული თანხა გადაირიცხება საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე ვატო მაღრაძის ანგარიშზე, რომელიც ლიმფობლასტიკურ ლეიკემიას ებრძვის.

არტ-ფესტივალში მონაწილეობა და ნამუშევრების გამოფენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ნამუშევრები გამოფენილი იქნება მთავარ მოედანზე, სადაც აუქციონი ჩატარდება.

# ლევან თუთბერიძე საქართველოს უკულტურო ქვეყანას უწოდებს



რეჟისორი ლევან თუთბერიძე საქართველოს უკულტურო ქვეყანას უწოდებს. ამის მიზეზად რეჟისორი კულტურის სამინისტროს განათლების სამინისტროსთან გაერთიანებას ასახელებს.

ლევან თუთბერიძე:

– იმის მაგივრად, რომ კულტურას გაუზარდონ დაფინანსება, საერთოდ მოისროლეს გვერდზე... უკულტურო ქვეყანა...

# სამგლოვიარო განცხადებები

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი

**გიორგი ბახუტაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თემურ ჩხეიძე მაყურებელს ახალ სპექტაკლს შესთავაზებს



რეჟისორი თემურ ჩხეიძე მაყურებელს ახალ სპექტაკლს შესთავაზებს.

30 ივნისს წარმოდგენილი სპექტაკლით სამეფო უბნის თეატრი მეოცე საიუბილეო სეზონს დახურავს. თემურ ჩხეიძის სპექტაკლით დახურავს.

„ჩვენი კლასი“ – ასე ეწოდება ტადეუშ სლობოდზიანეკის მომნუსხველ და სასტიკ დრამას. აღიარებული პოლონური პიესის პირველი ქართული დრამა ებრაელთა ტრაგიკული ბედის შესახებ მოგვითხრობს: ყველაფერი 1930-იან წლებში იწყება. სკოლის მოსწავლეების მშვიდობიან თანაცხოვრებას ანტისემიტური ცრურწმენების შემოჭრა მოსპობს, დანაშაულისა და შურისძიების მანკიერ წრეს დასასრული არ უჩანს, კოლექტიური ბრალდება, უსარგებლო სიმართლე და ისტორია, რომელსაც ვერ განსჯი, ვერ შეცვლი და უკან ვერ წაიღებ.

თემურ ჩხეიძის სპექტაკლი „ჩვენი კლასი“ სამეფო უბნის თეატრისა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კოპროდუქციაა.

# გიორგი უშიკიშვილი: „ანსამბლ „ოდილას“ დაფინანსება მოუხნეს“




ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებულ ანსამბლ „ოდილას“, რომლის წევრებიც 80 წელს გადაცილებულები არიან, დაფინანსება მოუხნეს:

– დამირეკეს სოფელ კიცხიდან, ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან, ანსამბლ „ოდილას“ ერთ-ერთმა წევრმა მაცნობა, რომ ამ შესანიშნავ ანსამბლს ის მცირედი დაფინანსებაც კი მოუხსნეს, რაც ჰქონდათ.

50 წელია ანსამბლი ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. აღდგენილი აქვს მრავალი იმერული სიმღერა, რომელიც დღეს სხვადასხვა ანსამბლის რეპერტუარშია.

80 წელს გადაცილებული ხალხისთვის ასეთი დამცირება, რომ შენი სახელმწიფო მრავალწლიანი ეროვნული საქმიანობისთვის ასე გექცევა და ასე გიფასებს, როგორი დიდი დამცირებაა, მოგეხსენებათ.

ცრემლნარევი ხმით რომ დაგირეკავს 85 წლის ეთნოფორი და ამას მოგიყვება, როგორ უნდა ვგრძნობდე თავს? მეც ასევე ცრემლებს ვერ ვიკავებ! ეს არის ზუსტად დღევანდელი კულტურის პოლიტიკა. ფეოდალიზმი, არაპროფესიონალიზმი, უგულობა, ერთი ჯგუფის მიერ ფოლკლორის სრული მონოპოლია და ნეპოტიზმი! სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, ანსამბლების დაფინანსებიდან მოხსნის პირველი შემთხვევა არ არის.

აუცილებლად ჩავალ კიცხში და ამ თემაზე მოვამზადებ გადაცემას! რაც შემიძლია ყველაფერს გავაკეთებ!

თქვენ კი, ფოლკლორის ახალგაზრდა ჩინოვნიკებო, ითვალეთ ხელფასები და პრემიები. გააფორმეთ თქვენი ახლობლები და მეგობრები და მიეცით მაღალი ხელფასები. არ მოიკლოთ არაფერი! გრცხვენოდეთ!

# ეთნოგრაფიულ მუზეუმში „წიგნის სივრცე“ გაიხსნება




3 ივლისს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ „წიგნის სივრცის“ პრეზენტაცია გაიმართება.

სპეციალურად მოწყობილ ღია ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში ნებისმიერ მსურველს შეეძლება, ბუნებაში წაიკითხოს, იმუშაოს თუ უბრალოდ განიტვირთოს. „წიგნის სივრცეში“ პერიოდულად მოეწყობა ლიტერატურული საღამოები, პრეზენტაციები და საჯარო ლექციები.

„წიგნის სივრცის“ მომხმარებლებს შეეძლებათ ისარგებლონ მუზეუმის ღია ბიბლიოთეკით და, სურვილის შემთხვევაში, გაამდიდრონ მუზეუმის ღია სამკითხველო.

სამკითხველო სივრცე ეროვნული მუზეუმის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ინიციატივაა.

3 ივლისს ნებისმიერ მსურველს შეეძლება ეთნოგრაფიულ მუზეუმში ასვლა, მისი საყვარელი წიგნის ატანა, მუზეუმის ღია ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნება და საკუთარი ჩანაწერის დატოვება ახალი მკითხველისთვის.

ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია. 17 ივლისიდან კი წიგნის სივრცე კითხვის მოყვარულებისთვის ღია იქნება.

# ინოლა გურგულიას ქუთაისში გაიხსენებენ



ქართულ საესტრადო სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და განუმეორებელ მომღერალს ინოლა გურგულიას ქუთაისში გაიხსენებენ. 30 ივნისს ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში გაიმართება მომღერლის ხსოვნის საღამო – „ძველი და დღესაც თანამედროვე ინოლა!“ სადაც ინოლა გურგულიას შემოქმედებას მისი შვილები წარმოადგენენ.

მუსიკოს რეზო კიკნაძის კვინტეტი კი ინოლა გურგულიას მუსიკაზე მრავალგვარ რეფლექსიას შესთავაზებს შეკრებილ მსმენელს. ღონისძიების ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.



# აღდგენილი „მარაბდობა“ მეათედ გაიმართება

პირველ ივლისს მარაბდობის აღდგენილი დღესასწაული უკვე მეათედ გაიმართება.

სახალხო დღესასწაული საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა და მისმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ აღადგინა.

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში ცხრა ძმა ხერხეულიძის მემორიალთან ,,მარაბდობის“ ტრადიციული დღესასწაული გაიმართება. საიუბილეო ღონისძიებაში მთელი გუბერნიაა ჩართული და ყველა რაიონიდან დღესასწაულში მონაწილეობისთვის თითო სკოლა ჩავა.

ღონისძიება მარაბდის ველზე იმართება იმ ომის მოსაგონრად, სადაც იბრძოდნენ 9 ძმა ხერხეულიძე, 9 მაჩაბელი, 7 ჩოლოყაშვილი და 10.000 მეომარი. თითოეული მათგანი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

– ვინც მარაბდობაზე ჩამოვა, ნახავს, რომ საქართველო არ მომკვდარა და გვახსოვს ჩვენი გმირები, – განაცხადა ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარემ, პროფესორმა გოგი დოლიძემ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**30 ივნისისთვის**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4553 |
| ევრო | 2.8575 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2442 |
| 100 რუსული რუბლი | 3.8797 |

## ამინდის პროგნოზი 30 ივნისისთვის




## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**
მგლის ბილიკი
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**
შავი ვარდი
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი




**იორამ ჩადუნელი**
საზღაური
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი




**რომან გვენცაძე**
საბედისწერო გასროლა
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი




**ჯემალ ჩახავა**
ქურდები და არიფები
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი




**ავთანდილ ბუხრაშვილი**
ვინ მოკლა ინსპექტორი
**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი




**მაკა სეფაშვილი**
დანაშაული აღარ მოხდება
**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## იუმორი



სამი დაქალი ზოოპარკში სეირნობს. გორილას ვოლიერთან მისულებმა შენიშნეს, რომ მაიმუნს ერექცია აქვს. გოგონები ვოლიერთან შეყოვნდნენ, ერთ-ერთი კი ძალიან ახლოს მივიდა. ამ დროს გორილამ ისკუპა, გოგონა დაიჭირა და დიდხანს აუპატიურებდა. ბოლოს გვერდით მოისროლა. გოგონა საავადმყოფოში გააქანეს. რამდენიმე დღის შემდეგ დაქალებმა მოინახულეს და ერთ-ერთი ეკითხება:

– როგორ ხარ? დიდი ტრავმა მოგაყენა?

– რას მეკითხები? – უპასუხა დაქალმა, – ამდენი დღე გავიდა და ერთხელაც არც დარეკა და არც მომწერა...

●●●

რუსეთის პრეზიდენტს რუსი ჟურნალისტი ეკითხება:

– საუდის არაბეთს მოვუგეთ, ეგვიპტეს მოვუგეთ, ურუგვაისთან კი დავმარცხდით. რატომ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ?

– იმიტომ, რომ ურუგვაელებთან მოსალაპარაკებელი არაფერი გვაქვს!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ინგლისურად ლაპარაკობ?

– მხოლოდ ლექსიკონით, ადამიანებთან საუბრის მრცხვენია.

●●●

ერთი გოგონა მეორეს ეკითხება:

– სად გავაკეთებინო სვირინგი ისე, რომ დედამ ვერ შენიშნოს?

– დედას ზურგზე.

●●●

ერთი სტუდენტი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ალბათობის თეორიის პრაქტიკა გავიარეთ.

– კაზინოში იყავით?

●●●

ცოლმა მაღაზიები შემოიარა, უამრავი კოსმეტიკური საშუალება იყიდა, მერე სახლში მისული გამოიპრანჭა და ბოლოს სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:

– აბა, შემომხედე, რამდენი წლისად გამოვიყურები?

– ჰოო, სახე – 20 წლის, თმები – 18-ს, ხელები – 25-ს...

– ოჰ, ნუ გამაწითლე.

– დამაცადე, ჯერ არ შემიჯამებია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





# ბოაი

BOAI

### ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით


## რუნი ისევ იუნაიტედში ითამაშებს



ინგლისელი ფეხბურთელი უეინ რუნი იუნაიტედს არ ეშვება. ამჟამად ევერტონის თავდამსხმელი, წარსულში კი მანჩესტერ იუნაიტედისა და ინგლისის ნაკრების კაპიტანი უეინ რუნი კარიერას ამერიკაში, იქაურ მლს-ის კლუბ დი სი იუნაიტედში გააგრძელებს.

32 წლის ვეტერანი ვაშინგტონურ კლუბს 10 ივლისს შეუერთდება, როდესაც ამერიკაში სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება. ამერიკული მედიის ინფორმაციით, ინგლისის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ახალ კლუბთან 2.5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, სადაც 13 მილიონ დოლარს მიიღებს და გუნდში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

აქამდე ინგლისელმა ფეხბურთელმა, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 119 შეხვედრაში 53 გოლი აქვს გატანილი, პრემიერლიგაში 16 სეზონი გაატარა და 2 კლუბის, მანჩესტერ იუნაიტედისა და ევერტონის მაისურით არაერთ წარმატებას მიაღწია.

## საქართველოს ევროპირველობის მასპინძლობა სურს



საქართველოს ევროპის 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. შეგახსენებთ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გასულ წელს გამართულ ფიბას კონგრესზე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან 2021 წლის ევრობასკეტის ერთ-ერთი ჯგუფის, ან ფინალური ეტაპის ჩატარების სურვილი ოფიციალურად დააფიქსირა.

ვითარების გასარკვევად, საქართველოში საქმიანი ვიზიტით ფიბა-ევროპის პრეზიდენტი, თურგაი დემირელი ჩამოდის, რომელიც პარალელურად ფიბას ვიცე-პრეზიდენტია. იგი მსოფლიო კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჩინოსანია, რომელიც 1992-2012 წლებში თურქეთის კალათბურთის ფედერაციას პრეზიდენტობდა და მის ხელში ამ ქვეყნის კალათბურთმა უდიდესი პროგრესი განიცადა. დემირელი საქართველოს სამთავრობო წრეებს შეხვდება, სადაც საუბარი რამდენიმე თემაზე იქნება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს მიერ მსოფლიო კალათბურთის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ვიზიტის მთავარი მიზანიც ჩვენი საკალათბურთო პოტენციალის ადგილზე გაცნობა და ფედერაციასთან ერთად ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრა იქნება. თურგაი დემირელი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოსა და სერბეთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩს დაესწრო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საიდუმლო დოკუმენტების დამტარებელი მთავრობის ან სამხედრო უწყების კურიერი; 2. შტატი აშშ-ში; 3. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 4. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. გერმანიის პირველი რეიხსკანცლერი; 6. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 7. ყირგიზეთის დედაქალაქი; 9. უმაღლესი ხარისხის პერგამენტის ქაღალდი; 13. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 17. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 18. სოკოვანი წარმონაქმნი საკვები პროდუქტების ზედაპირზე.

**თარაზულად:** 1. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 3. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 8. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 10. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 11. რაიმე პროცესის, სამუშაოს დასრულებული პერიოდი დროის გარკვეულ მონაკვეთში; 12. ფრანგული სიგარეტი; 14. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 15. გერმანული ჟურნალი; 16. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 19. უღრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 20. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 21. თბილისის მერი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




## სასეირნოდ წასული კატა სახლში ათი წლის შემდეგ დაბრუნდა



დაკარგული კნუტი თავის ოჯახს ათი წლის შემდეგ დაუბრუნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

თეთრ-წითური კატა, სახელად გარი, ნორფოლკის საგრაფოს ქალაქ გრეიტ იარტმუტში მდებარე სახლიდან 2008 წელს დაიკარგა, როდესაც ის ჯერ კიდევ კნუტი იყო. ერთ დღესაც ის ბაღიდან სახლში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ჩინეთში მატარებელი სასწავლო მანქანას დაეჯახა



ჩინეთში ავტოსკოლის მანქანას რკინიგზის გადასასვლელზე მატარებელი დაეჯახა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.ინციდენტი ხუნანის პროვინციის ქალაქ სიანტანში მოხდა. მანქანა რკინიგზის გადასასვლელზე შეიჭრა იმის მიუხედავად, რომ შუქნიშანზე წითელი ფერი ენთო, ამ დროს კი მას მატარებელი დაეჯახა. მემანქანემ შემადგენლობის დამუხრუჭება ცადა, მაგრამ მანქანის ნაწილს მაინც დაეჯახა. თავის მხრივ, მანქანა გადავარდა და გამაფრთხილებელი შუქნიშანი მოგლიჯა. ავტომობილს მარჯვენა უკანა ბორბალი მოძვრა და ის მანქანიდან ხუთ მეტრში რკინიგზაზე დაგდებული იპოვეს. ავტომობილის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ინციდენტის შედეგად დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. უცნობია, მანქანის საჭესთან ავტოინსტრუქტორი იჯდა თუ მისი მოსწავლე. ავარიაში დამნაშავეზე ძებნაა გამოცხადებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**